# ალბა აფხაზეთი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, №49, დეკემბერი, 2019 წელი

ქ. სოხუმის სანაპირო


## ქართული კვალის წაშლის მოტივით განადგურებული კულტურული მემკვიდრეობა

სამეცნიერო კონფერენციის გამოძახილი

გვ. 3-4

## დიმა ჯაიანის გარდაცვალებიდან 2 წელი გავიდა

„დიმა, სოხუმზე დაწერილ ლექსებს ვინ წაიკითხავს აწი შენსავით?!“

ბათუ შარელი

გვ. 6

## დიდი მონატრებით დაწერილი წიგნი

ნანა ჯეჯეიას ,,ჩაის ამინდები“

გვ. 8

## ფერწერაში არეკლილი სამყარო

მხატვარ ალექსანდრე თოდუას პერსონალური გამოფენა

გვ. 9

## სონეტები

მადონა დვალი

გვ. 10

## ...რაც ახალ წელს მისტიურობისგან ძარცვავს

თეკლა ლაზი

გვ. 10


ჯუმბერ ბეჭვაია: ,,მინდოდა შრიფტი აფხაზეთივით ლამაზი ყოფილიყო და ვფიქრობ, ამას მივაღწიე, რადგან ნომინაცია მხატვრულ შრიფტში გავიმარჯვე. ღრმად სტილიზებულად ჩადებულ სიმბოლურ მინიშნებებს კი ამჯერად არ დავაზუსტებ“.

გვ. 5

*შრიფტი აფხაზეთი*

ელენე იგნატოვა: ,,დალი ცაავას პეტერბურგიდან ნამდვილი სიმდიდრე ჰქონდა წამოღებული - ანა ახმატოვას ნაჩუქარი პატარა ჩანთა და თავისი ახლო მეგობრის იოსებ ბროდსკის ამერიკიდან გამოგზავნილი ავტოგრაფიანი წიგნები, ღია ბარათები და წერილები. ბროდსკის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მის მოხუც მშობლებს სხვა მეგობრებთან ერთად დალი ცაავაც უვლიდა და პატრონობდა“.

გვ. 6

ვალერიან ზუხბაია: ,,1955 წელს მდ. ოქუმის ხეობაში, სოფელ ღუმურიშის ტერიტორიაზე, ნოდარ შონიამ ქართული წარწერებიანი ქვა აღმოაჩინა, მასზე მოხსენიებულია ეკლესიის მშენებელი ,,დედოფალთ-დედოფალი საგდუხტი”

გვ. 7

## რუსთაველის სამეცნიერო ფონდი საქართველოს ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ

ნატო ობოლაძე

**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი საქართველოს ოკუპირებული და საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად კონკურსებს აცხადებს.**

კონკურსების მიზანია, ამ ორი მიმართულებით სამეცნიერო კვლევების განვითარება, მათი მიახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან, კვლევის შედეგების გავრცელება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია. ფონდმა, ასევე, გამოაცხადა საგამომცემლო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსი, რის შედეგადაც მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომების – წიგნების, მონოგრაფიების – გამოცემაა დაგეგმილი.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის პრიორიტეტებია: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხი, საქართველოს ისტორიის გაყალბების აშკარა მცდელობების წინააღმდეგ მიმართული სამეცნიერო პროექტების მხარდაჭერა და მათი საერთაშორისო საზოგადოებისთვის გაცნობა.

განსაზღვრულია ოთხი მთავარი მიმართულება:

ოკუპირებული ტერიტორიების შემსწავლელი სამეცნიერო პროექტები;

საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებები;

საქართველოს საზღვრისპირა რეგიონების შემსწავლელი სამეცნიერო კვლევებისა და საგამომცემლო გრანტების კონკურსები;

კავკასიოლოგიური მიმართულების სამეცნიერო პროექტები.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, ასევე აპირებს საქართველოს ისტორიული რუკების, მისი ისტორიული საზღვრების ამსახველი ატლასების გამოცემას, რომლებიც უცხოელი, ევროპელი მეცნიერების მიერ არის შედგენილი, რათა ობიექტურად შეფასდეს ისტორიული სინამდვილე.

უახლოეს პერიოდში ფონდი კავკასიოლოგიური მიმართულების სამეცნიერო კვლევების კონკურსსაც გამოაცხადებს.

# აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელის სოლო-კონცერტი ქ. ბაქოში

აფხაზეთის გურამ ყურაშვილის სახელობის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ, წარმატებული ევროპული ტურნეს შემდეგ, ქალაქ ბაქოში, მუსლიმ მაგომაევის სახელობის სახელმწიფო ფილარმონიაში სოლო-კონცერტი გამართა. კაპელა ზვიად ბოლქვაძის ხელმძღვანელობით მსმენელის წინაშე ქართული და უცხოური კომპოზიციებით წარსდგა.

კონცერტის დაწყებამდე, დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რუსლან აბაშიძემ და საქართველოს ელჩმა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ზურაბ პატარაძემ მიმართეს.

კონცერტს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის, ქართული დიასპორისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. როგორც ყოველთვის ახლაც აფხაზეთის კაპელის კონცერტი მქუხარე ოვაციების თანხლებით წარიმართა.

# აფხაზეთის ღვაწლმოსილი და გამორჩეული პედაგოგების მიღება

მაია შონია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის ორგანიზებით, აფხაზეთის ღვაწლმოსილი პედაგოგები და აფხაზეთის საჯარო სკოლების წლის საუკეთესო მასწავლებლები ტრადიციულად სამინისტროში მიიწვია და მიღება მოუწყო.

შეხვედრის დასაწყისში დამსწრეთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ მანანა ქვაჩახიამ. მან ქვეყნის განვითარებაში ზოგადად პედაგოგების წვლილზე ისაუბრა და კონკრეტულად კი ხაზი გაუსვა აფხაზეთიდან დევნილი პედაგოგების იმ განსაკუთრებულ როლს, რაც მათ დევნილობამ დააკისრა. შეხვედრას უძღვებოდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი ნინო ლობჟანიძე, რომელმაც ცალ-ცალკე ისაუბრა თითოეული მოწვეული პედაგოგის დამსახურებაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ უმაღლესი საბჭოს სიგელი ნაყოფიერი პედაგოგიური საქმიანობისათვის გადასცა თბილისის №137 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელს ლელა ჯიჯელავას. სამინისტროს შესაბამისი სიგელები და საჩუქრები გადაეცათ აფხაზეთის ღვაწლმოსილ პედაგოგებს: ჟენია გასვიანს, მარო გამყრელიძეს, ვაჟა მარგველანს, რაისა სონგულიას, თინა ყურაშვილსა და ელენა ფხაკაძეს; აფხაზეთის წლის საუკეთესო პედაგოგებს: აფხაზეთის №5 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს ფოთოლა ბენდელიანს, აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს სოფიო გოგოხიას; აფხაზეთის №11 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელს ქეთო კახიანს.

შეხვედრაზე მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს აფხაზეთის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

# მიხეილ ჩხენკელთან აფხაზეთის განათლების საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში მინისტრ მიხეილ ჩხენკელთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი როლანდ ნიჟარაძე და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის თანამშრომელი მარინა შენგელია მონაწილეობდნენ.

შეხვედრაზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს წინაშე არსებულ გამოწვევებზე, აფხაზური ენის სწავლების გაძლიერებაზე. განიხილეს კონკრეტული წინადადებები და ინიციატივები, რომლებიც ითვალისწინებს დევნილი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდების ხელშეწყობას განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით. ასევე, ისაუბრეს ოკუპირებულ აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით საჭირო პრევენციული ღონისძიებების შემუშავებაზე.

ჩვენი აფხაზეთი

# ქართული კვალის წაშლის მოტივით განადგურებული კულტურული მემკვიდრეობა

მაია შონია

**როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების წინააღმდეგ ბრძოლა ოკუპანტის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ამ იარაღით ბრძოლა წლების წინათ დაიწყო და დღეს უკვე ერთი მხარისთვის ,,სასურველ", ხოლო მეორე მხარისთვის სავალალო შედეგებს ვიმკით. ძეგლების გადარჩენის ერთადერთ მექანიზმად მათი მუდმივი მონიტორინგი და საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება რჩება. ქართულ მხარეს კი მონიტორინგის საშუალება არა აქვს, შესაბამისად, არც საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის მისაწოდებლად საკმარისი ინფორმაცია გააჩნია. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, სხვა უწყებებთან ერთად, ამ მიმართულებით უფრო ინტენსიურ მუშაობას გეგმავს. ამ და სხვა პრობლემების განხილვას მიეძღვნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ინიციატივითა და სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის ორგანიზებით გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრში გამართული სამეცნიერო კონფერენცია -"საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა - საფრთხეები და გამოწვევები" .**

დამსწრეთ მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს: თამარ ბელაშვილმა, ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის დირექტორმა; ჯემალ გამახარიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ; რუსლან აბაშიძემ, აფხაზეთის ა/რ მთავრობის თავმჯდომარემ და როლანდ ნიჟარაძემ, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრმა. სამეცნიერო კონფერენციაზე ამ დარგის მკვლევარებმა და მეცნიერებმა: ლია ახალაძემ (ეპიგრაფიკული ძეგლების დაცვის პრობლემები საქართველოში - საფრთხეები და გამოწვევები), ნინო დოლიძემ (კოლხური კულტურის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხები), ირაკლი გელენავამ (ენობრივი პოლიტიკა როგორც სეპარატიზმის იარაღი), გიორგი პატაშურმა (აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა), გურამ ლეგაშვილმა (დოლისყანის ქტიტორთა გამორკვევისათვის), სალომე მელაძემ (ქსნის ხეობის ეკლესიათა შუა საუკუნეების მოხატულობები) წარმოადგინეს თავიანთი უახლესი შრომები კულტურული მემკვიდრეობის საკითხებზე, მათი ამჟამად არსებული მდგომარეობის აღწერითა და შეფასებებით. კონფერენციას უძღვებოდა აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის სამსახურის უფროსი ნონა ქარაია.

გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს კონფერენციაზე გამომსვლელთა სიტყვებიდან:

**რუსლან აბაშიძე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე:**

- კონფერენციის - „კულტურული მემკვიდრეობა - საფრთხეები და გამოწვევები" განსაკუთრებული მნიშვნელობა განპირობებულია მსოფლიოში შექმნილი ვითარებით, რადგან XXI საუკუნეში, დატვირთული და დაჩქარებული პოლიტიკური პროცესების ეპოქაში, განსაკუთრებით გამწვავებულია პოლიტიკური ძალების, დიდი სახელმწიფოების გავლენის სფეროების გადანაწილების პროცესი, რაც, რა თქმა უნდა, გადამწყვეტ გავლენას ახდენს არსებულ მსოფლიო „წესრიგზე". აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროცესებმა წინა პლანზე წამოწია ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პოლიტიკის გააქტიურება.

ერების ისტორია ხომ ტერიტორიებისა და ამ ტერიტორიაზე ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად წარმოებული ომებისა თუ პოლიტიკური ურთიერთობების ისტორიაა. გამომდინარე აქედან, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს ჩვენთვის, როგორც ერისთვის, რომელმაც თავისი ისტორიის განმავლობაში შექმნა ზოგადსაკაცობიო მნიშვნელობის კულტურა, საკუთარი კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი პოპულარიზაცია უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს და ეს იმ პირობებში, როდესაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა უდიდესი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას, რასაც განაპირობებს საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია. არსებული ვითარებიდან გამომდინარე მისასალმებელია, რომ კონფერენციის თემაც სწორედ ამ უაღრესად აქტუალურ პრობლემას ეძღვნება.

საოკუპაციო ძალა, რომელიც მოქმედებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცდილობს, რომ აქედან წაშალოს არა მხოლოდ ისტორიული-კულტურული, არამედ ქართული საზოგადოების არსებობის კვალიც. სამწუხაროდ, ამგვარი რეალობის პირობებში მიმაჩნია, რომ ჩვენ „საინ-

ფორმაციო ომს" სათანადოდ ვერ წარვმართავთ. ამ თვალსაზრისით უფრო მეტია გასაკეთებელი. მით უმეტეს, რომ სათანადო რესურსი ნამდვილად არსებობს ჩვენს საზოგადოებაში, საქართველოს ხელისუფლებაში, აფხაზეთის ლეგიტიმურ სტრუქტურებში, რა თქმა უნდა, აკადემიურ წრეებში. ამიტომაც აუცილებელია, რომ ყველაფერი გაკეთდეს ამ ძალების მჭიდრო თანამშრომლობისათვის, რათა შემუშავდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასაცავად ძლიერი და ქმედითი მექანიზმები. ვინაიდან ჩვენ აფხაზეთში მდებარე ისტორიულ-არქიტექტურული ნაგებობის დაცვის არანაირი მექანიზმი არ გაგვაჩნია, ეს მისია მთლიანად უნდა იტვირთოს იუნესკომ. აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება კი მზად ვართ ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის გადადგმულ ყოველ ნაბიჯს მხარი დავუჭიროთ და გვერდით დავუდგეთ.

**როლანდ ნიჟარაძე, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრი:**

- კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი სიმდიდრე და სიამაყეა და ამით ვიწონებთ კიდეც ქართველები თავს მთელ მსოფლიოში. არსებობენ განათლებული და განვითარებული ერები, რომელთაც მხოლოდ აღრე ან გვიან ფეოდალური ხანიდან აქვთ კულტურული მემკვიდრეობა და ისტორია. ჩვენ კი ამ მხრივაც უნიკალური ერი ვართ, ანტიკური ხანიდან გვაქვს კულტურა. უკვე ხუთი საუკუნეა კულტურული მემკვიდრეობა და მათი დაცვა ქართველ ერს, ქართველ ინტელიგენციას ძალიან მტკივნეულად აწუხებს. მხედველობაში მაქვს სამხრეთ საქართველოც - ტაო-კლარჯეთი, რომელიც XI-XII საუკუნეებში უდიდესი კულტურისა და სულიერი ცხოვრების კერა იყო. აქ ფართოდ იყო გაშლილი ეკლესია-მონასტრების მშენებლობა, მაგრამ თუ რა მოხდა შემდეგ, ამაზე დღეს გაჩუმებული ვართ... მერე ამას დაემატა ახალი სატკივარი - სამაჩაბლო და აფხაზეთი. მესამე ძალას უნდა, რომ ქართული კვალი სრულად წაშალოს ამ ტერიტორიებიდან, მაგრამ უკვე სოხუმშიც ხვდებიან, რომ ეს მხოლოდ ქართული ძეგლები კი არა, მათი წინაპრების კულტურული მემკვიდრეობაცაა.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ სოხუმში მოქმედი უნივერსიტეტის სტუდენტებმა ორი - სამი ისტორიის მასწავლებლის ხელმძღვანელობით ხმა აღიმაღლეს იქ არსებული რეალობის წინააღმდეგ და ხელისუფლებასაც მოსთხოვეს, დაიცვან სიძველეები. მათ ასევე ჩაატარეს კონფერენციები შავი არქეოლოგიის წინააღმდეგ. ისინი მიხვდნენ, რომ ძეგლების დაცვის საქმეში ახალგაზრდებმაც უნდა თქვან თავიანთი სიტყვა, რადგან აფხაზეთში ორი აბორიგენი ერი ვართ და იქ არსებული ძეგლები ორივეს გვეკუთვნის. დარწმუნებული ვარ, ყველანი ერთად სასურველ შედეგს მივაღწევთ. კონფერენციის მასალებს ცალკე ბროშურად გამოვცემთ და მას აფხაზეთში არსებულ სოხუმის უნივერსიტეტსაც მივაწვდით. გარდა ამისა, მსგავსი კონფერენციები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ შესაბამის ინფორმაციას საერთაშორისო ასპარეზზე გავიტანთ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე



# სტუდენტების ხელწერით გამოცემული გაზეთი

მაია შონია

**საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტთა ერთობლივი პროექტის - გაზეთ ,,ჩემი აფხაზეთის" სპეციალური ნომრის პრეზენტაცია გაიმართა.**

„ჩემი აფხაზეთი" აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ყოველკვარტალური გაზეთია, რომელიც 2005 წლიდან გამოიცემა და ასახავს სამინისტროს საქმიანობას განათლების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და სპორტის მიმართულებებით. იდეა, რომ თსუ-ის სტუდენტებს გაზეთის სპეციალურ ნომერზე ემუშავათ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტების მიერ თსუ-ს ასოცირებული პროფესორის მაია ტორაძის ხელმძღვანელობით მომზადებული ჟურნალის „გზავნილი აფხაზეთიდან" პრეზენტაციაზე გაჩნდა. ჟურნალი მკითხველს აფხაზეთის პრობლემატიკაზე - ემოციიდან დაწყებული პოლიტიკით დამთავრებული - მოუთხრობს. ამავე სტუდენტების მიერ მომზადებულ გაზეთ „ჩემი აფხაზეთის" სპეციალურ ნომერშიც მკითხველი აფხაზეთის პრობლემატიკის ამსახველ მრავალ საინტერესო და განსხვავებულ მასალას გაეცნობა. მაშინ როდესაც აფხაზეთი რაც დრო გადის, მით უფრო იშვიათად ახსენდება საზოგადოებას და მათ შორის, მასმედიას, მნიშვნელოვანია, რომ მისით ინტერესდებიან ახალგაზრდები და მით უმეტეს, მომავალი ჟურნალისტები.

აფხაზეთის პრობლემატიკის ახალგაზრდა თაობისთვის გაცნობისა და მის პოპულარიზაციაში ჩაბმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რუსლან აბაშიძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა როლანდ ნიჟარაძემ. მათვე აფხაზეთის პრობლემატიკის გაშუქებისა და გაზეთ „ჩემი აფხაზეთის" მომზადებისათვის სტუდენტური ჯგუფის ხელმძღვანელს მაია ტორაძეს და სტუდენტებს - ილია მეგრელიძეს, ლიანა მარქარიანს, სალომე მელიქიშვილს, თამუნა ზარანდიას, ნატალია პატარკაცაშვილს, ანი დეკანოსიძეს, ნინო წულაიას, ნინო ჭყოიძეს, ელენე ზაქაშვილს, ნანუკა ქაჩიბაიას, ნატო ობოლაძეს, ანა ცუცქირიძეს სამინისტროს მადლობის სიგელები გადასცეს.

პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრეს თსუ-ს ასოცირებულმა პროფესორმა მაია ტორაძემ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მულტიმედიის ცენტრის დირექტორმა მარინა სალუქვაძემ. საღამოს უძღვებოდა გაზეთ „ჩემი აფხაზეთის" რედაქტორი და მისი სპეციალური ნომრის გამოცემის იდეის ავტორი ნატო კორსანტია. მან გაზეთის მორიგი ნომრის მომზადების ესტაფეტა საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს გიგლა გობეჩიას და მის სტუდენტებს გადასცა. სტუდენტების მიერ გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუების რესპონდენტებზე -ლიტერატურათმცონე მარინა ტურავასა და მწერალ გელა ჩქვანავაზე ისაუბრეს ლიტერატურათმცოდნე ნინო ვახანიამ და მწერალმა ბექა ქურხულმა; საქართველოს ახალგაზრდა ელჩი იტალიაში და კონფლიქტოლოგიის დოქტორი ნინო გაბელია კი დამსწრეთ რომიდან გამოგზავნილი ვიდეომიმართვით შეეხმიანა.

პრეზენტაციაზე წარმოდგენილი იყო გაზეთ ,,ჩემი აფხაზეთის" მორიგი ნომრის ერთი წერილის ანონსი. წერილისა, რომელიც თი ბი სი ბანკის პროექტის „წერე-ქართულად" ფარგლებში გამართული კონკურსის „ქართული ა„-ს 2019 წლის ერთ-ერთ გამარჯვებულზე, სამხატვრო აკადემიის სამრეწველო დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელსა და ასოცირებულ პროფესორ ჯუმბერ ბეჭვაიასა და მის მიერ შექმნილ შრიფტ „აფხაზეთზე" მოგითხრობთ. ამ შრიფტმა ხსენებული კონკურსის ნომინაციაში მხატვრული შრიფტი პირველი ადგილი მოიპოვა. აქვე ნაჩვენები იყო შრიფტ „აფხაზეთზე" აგებული ვიდეორგოლი.

დასასრულ დამსწრეთ ორგანიზაცია „აფხაზეთის მოამბის" დამფუძნებელმა გიორგი კობახიძემ აფხაზ თანატოლებთან ერთად მომზადებული დოკუმენტური ფილმი „ბედია" წარუდგინა.

# ქართული კვალის წაშლის მოტივით განადგურებული კულტურული მემკვიდრეობა

მე-3 გვერდიდან

ჯემალ გამახარია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემა აფხაზეთის ოკუპაციის პირველივე დღეებიდან მოყოლებული მწვავედ დგას. აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ წაიშალოს აქედან ქართული კვალი. ამ პოლიტიკის განხორციელებაში მთავარ სამიზნეს სწორედ კულტურის ძეგლები წარმოადგენს. განსაკუთრებით ის ძეგლები ნადგურდება, რომლებზეც მრავლად არის ქართული წარწერები. არადა, ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზეა, სწორედ ქართული ეპიგრაფიკითაა გამორჩეული. ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მთელი რიგი წარწერები წაშლილია, ილორი, მაგალითად, გადაღებილია, ბედია დანგრეულია. 999 წლით დათარიღებული ერთადერთი ფრესკა თითქმის არ არსებობს. ისტორიის დამახინჯება, გადაკეთება, არქეოლოგიური მასალების გაყალბება მათთვის აქტუალური თემაა. იქ ზალიან პოპულარულია შავი არქეოლოგია. მაგალითად, რაღაცას აღმოაჩენენ, სხვაგან დამარხავენ და მერე ვითომ იქ იპოვეს - ამ გზით აყალბებენ ისტორიას. შავი არქეოლოგია ჰქვია ნებართვის გარეშე სამუშაოების ჩატარებას და მერე ამით ვაჭრობას ან პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხშირად ატარებენ ამ თემაზე კონფერეციებს, რასაც ხელს უწყობს აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობა. იქ არსებული მდგომარეობის მონიტორინგი და ამ ინფორმაციის საერთაშორისო სახოგადოებისთვის მიწოდება ძალიან მნიშვნელოვანია. ამ კუთხით, უნდა ითქვას, რომ ძალიან ჩამოვრჩებით. საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ მიღებულ რეზოლუციებში ყველაფერზეა საუბარი, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გარდა. ეს ჩვენი ნაკლია, მათ ჩვენ ვერ ვაწვდით სათანადოდ დამუშავებულ, ზუსტ, სანდო, მრავალჯერ გადამოწმებულ ინფორმაციას. კულტურის ძეგლების განადგურება არის დანაშაული, ამდენად, ამ პრობლემას სამართლებრივი მხარეც აქვს და ეს საკითხიც სერიოზულად არის დასამუშავებელი. ჩვენი კანონმდებლობა - სისხლის სამართლის კოდექსი - იცავს კულტურის ძეგლებს. ოკუპანტების საქმიანობა ამ ძეგლების განადგურების მიმართულებით იმდენად მრავალფეროვანია, რომ სამართლებრივ პრაქტიკას ძალიან გაამდიდრებს. ეს ყველაფერი უნდა შევისწავლოთ, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც აგონ პასუხი იმ ადამიანებმა, რომლებიც ამ ვანდალიზმს ჩადიან 21-ე საუკუნეში.

როცა ჩვენ ამ ყველაფერს მოვაწესრიგებთ, საერთაშორისო სახოგადოებას მივაწვდით მასალებს და გახდება საერთაშორისო განხილვის საგანი. აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში ისედაც ვამზადებთ სარჩელებს მთელ რიგ საკითხებზე და კულტურის ძეგლების განადგურების თემა ამ სარჩელების მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა გახდეს. ოკუპანტებთან ამ საკითხებზე დავა საერთაშორისო სასამართლოებში უნდა გავმართოთ. არის სხვა საშუალებებიც, მაგალითად, სახალხო დიპლომატია, რომ როგორმე მივადწიოთ ამ ძეგლების მონიტორინგს და ელემენტარული ინფორმაცია მაინც მოვიპოვოთ, რაც თავისთავად შეუწყობს ხელს მათ დაცვას.

ირაკლი გელენავა, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსი:

- ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, ვნახავთ, რომ ნებისმიერი დამპყრობელი პირველ დარტყმას სწორედ კულტურულ მემკვიდრეობას აყენებს, რადგან სწორედ ამ მემკვიდრეობით ახდენს ერი ეროვნულ იდენტიფიკაციას. აფხაზეთშიც ასე მოხდა, რადგან იქ არსებული ძეგლები ჭეშმარიტებას ღაღადებენ და თუ ის არ მოიშალა, ისტორიასაც ვერ გააყალბებენ. ამ ყველაფერს ვხედავთ ილორის, დრანდის, ახალი ათონის, წებელდის და სხვა ძეგლების მაგალითზე. ეს კეთდება საბოლოო ოკუპაციისათვის და იმისათვის, რომ ახალი თაობები გაყალბებულ ისტორიაზე აღიზრდონ, რათა სამუდამოდ გაწყვიტონ ისტორიული კონტაქტი საქართველოსთან. ამ პროცესში ჩართულია როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ეს არ არის მე-20 საუკუნეში დაწყებული პროცესი. ეს ყველაფერი მე-19 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს.

ვახსენეთ ენა და საინტერესოა, თუ როგორ გამოიყენეს ჩვენმა მტრებმა ენა სეპარატიზმის გასაღვივებლად. პირველი ჩანაწერები აფხაზურ ენაზე მე-17 საუკუნიდან არსებობს. აფხაზებს დამწერლობა არ ჰქონდათ, ის მათ რუსმა პეტრე უსლარმა შეუქმნა რუსული კირილიცას გრაფიკულ მოხაზულობაზე დაყრდნობით. ამ ენისთვის დამწერლობის შექმნა იმპერიალისტურ ზრახვებს ემსახურებოდა და არა აფხაზური ენისა და კულტურის განვითარების საქმეს. მიზანი იყო მათი ქართული სივრციდან ჩამოშორება. მას შემდეგ ამ ენამ და დამწერლობამ ბევრი ცვლილება განიცადა. 1954 წელს დიმიტრი გულიას მეთაურობით, უსლარის ანბანში ცვლილებები შეიტანეს და შექმნეს დღეს მოქმედი აფხაზური ანბანი, რომელიც სულაც არ უწყობს ხელს ამ ენის განვითარებას. დღეისათვის მისი გამოყენების არეალი მცირეა. აფხაზეთში ორი სახელმწიფო ენაა - აფხაზური და რუსული. სკოლებში უმძიმესი მდგომარეობაა ენის შესწავლის თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას,რომ ამ ეტაპზე რუსეთმა საუკუნენახევრის წინათ დაწყებული პროცესი დროებით, მაგრამ მაინც წარმატებით წარმართა. დღეს უკვე დადგა დრო, როდესაც რუსეთს არ სჭირდება აფხაზური ენის მცოდნე აფხაზი. ახლა მიმდინარეობს აფხაზების გარუსების პროცესი.

ქართველები უნიკალური ერი ვართ, რადგან იმ ერის დასახმარებლად, რომლის სახელითაც მოხდა ჩვენი ტერიტორიის რღვევა, არაერთ პროგრამას ვახორციელებთ. გამოვეცით აფხაზური ენის შემსწავლელი დისკი და სახელმძღვანელო. აფხაზური ენის შენარჩუნებისა და განვითარებისთვის შეიქმნა აფხაზური ენის თვითმასწავლებელი პირველი და მეორე დონის სწავლებისთვის. აფხაზური ენის ფილოლოგებისა და სტუდენტების სწავლების დაფინანსებისთვის გამოიყო თანხა. იმართება სხვადასხვა ტიპის დონისძიებები. აფხაზეთის 6 საჯარო სკოლაში ისწავლება აფხაზური ენა. დამატებითი დაფინანსება აქვთ აფხაზურის მასწავლებლებს. შემუშავდა მათი გადამზადების პროგრამა, რომლითაც აფხაზებიც კი დაინტერესდნენ. თეიმურაზ გვანცელაძემ გამოსცა აფხაზურ-ქართული ლექსიკონი. ეს არის ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობის მხოლოდ მცირე ჩამონათვალი, რომლითაც ჩვენ ვამართლებთ დიმიტრი გულიას სიტყვებს: „აფხაზ ხახლს ქართველზე უფრო ახლო მეცეცხლური მეზობელი, კეთილის მსურველი მეგობარი, თანამდგომი არავინ ჰყოლია.

კონფერენციის ბოლოს ორგანიზაცია ,,აფხაზეთის მოამბის“ დამფუძნებელმა გიორგი კობახიძემ და ამავე ორგანიზაციის წევრმა გიორგი ქვაცაბაიამ დამსწრეთ უჩვენეს აფხაზ თანატოლებთან თანამშრომლობით შექმნილი დოკუმენტური ფილმი ,,ბედიის მონასტრის წარსული და თანამედროვეობა“ .

# თსუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები სტუდენტებისთვის

## ელენე ზაქაშვილი

ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ახალგაზრდებისთვის სახელმწიფო რამდენიმე პროექტს ახორციელებს. მათ შორისაა პროგრამები მათთვის, ვინც ზოგადი განათლება საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე მიიღო. ამ პროგრამებში უმაღლესი სასწავლებლებიც არიან ჩართულნი. ჩვენ დავინტერესდით, რას სთავაზობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდებს, რომელთაც სურთ სწავლა სწორედ ამ უნივერსიტეტში განაგრძონ. ვესაუბრეთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსს ვალერიან გობრონიძეს:

*– ბატონო ვალერიან, საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე (კერძოდ, ოკუპირებულ აფხაზეთში) მიღებული განათლების შემდეგ ახალგაზრდები ეროვნული გამოცდებით ირიცხებიან საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. მათგან რამდენი ირჩევს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს?*

– ეთნიკურად აფხაზი სტუდენტები, გარკვეული მიზეზების გამო, ძირითადად ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს ირჩევენ, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გვყავს სტუდენტები ოკუპირებული ტერიტორიებიდან. წლების მიხედვით სტატისტიკა ასე გამოიყურება: 2012 წელს 73 სტუდენტიდან 4-მა აირჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013 წელს 58-დან 4-მა, 2014 წელს 83-დან 1-მა, 2015 წელს 93-დან 3-მა, 2016 წელს 92-დან 3-მა, 2017 წელს 127-დან 7-მა, ხოლო 2018 წელს 146 სტუდენტიდან 14 სტუდენტმა არჩევანი სწორედ თსუ-ზე შეაჩერა.

*– არსებობს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაც, ჩართულია თუ არა ამ პროგრამაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი?*

– ბუნებრივია, ჩართულია. ქართულ ენაში მომზადების პროგრამა აბიტურიენტს აძლევს შესაძლებლობას, მხოლოდ ერთი გამოცდით, აფხაზურენოვანი ტესტების ჩაბარების გზით, მოხვდეს ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებელში. სტატისტიკა აჩვენებს, რომ ამ პროგრამით დაინტერესებული ახალგაზრდების რაოდენობა ნაკლებია. თითქოს ერთი გამოცდა უფრო მიმზიდველია, მაგრამ ჩვენთან ძირითადად მოდის კონტინგენტი გალის რაიონიდან, რომელიც აფხაზურენოვანი არ არის. წლეულს გვყავდა ერთი ახალგაზრდა, რომელიც აფხაზურენოვანი ტესტების საფუძველზე ჩაირიცხა, თუმცა ეს ძალიან იშვიათი შემთხვევაა.

*– როგორ ხორციელდება სკოლის შემდგომი განათლების პროგრამა უნივერსიტეტში?*

– ეს პროგრამა სახელმწიფომ შარშან დაიწყო და განხორციელდა ორი უმაღლესი სასწავლებლის – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე. პროგრამაში ჩართული იყო დაახლოებით 100 ახალგაზრდა, რომელთაგან 70-მდე მსურველი თსუ-ში გადამზადდა. მათ წარმატებით ჩააბარეს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის გამოცდები, რომელზეც მათი კომპეტენცია დადასტურდა – აბსოლუტური უმრავლესობა მოხვდა სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათგან 41 სტუდენტი თსუ-ში ჩაირიცხა.

*– რამდენად უწყობს უნივერსიტეტი ხელს არაქართულენოვანი სტუდენტების საზოგადოებაში ინტეგრაციას?*

– ჩვენთვის ეს საკითხი მნიშვნელოვანია. ამისთვის არსებობს თსუ-ს ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც გარკვეულ აქტივობებს ახორციელებს. ამ ცენტრში არიან აფხაზურენოვანი, სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და ოსურენოვანი სტუდენტები. ცენტრი შეიქმნა 2015 წელს ევროკავშირის მხარდაჭერით. სხვა მხრივ, თუკი რამე მოთხოვნა აქვთ, მათ შეუძლიათ მიმართონ შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციას და მიიღონ კონსულტაცია.

*– აკმაყოფილებს თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ სტუდენტებს საცხოვრებლით?*

– ჩვენთვის, ზოგადად, პრობლემაა ყველა სტუდენტის დაკმაყოფილება საცხოვრებლით. ამიტომ სტუდენტური საცხოვრებელი უფასო არ არის, მაგრამ ვცდილობთ, შეღავათიან ფასებში მოვემსახუროთ. მაგალითად, ბაგებში ცხოვრება 50 ლარია თვეში. რაც შეეხება სტუდენტებს, რომლებმაც ზოგადი განათლება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიიღეს, ვცდილობთ დავაკმაყოფილოთ საცხოვრებლით.

*– 2019 წელს, ეროვნული გამოცდების დროს, ახალგაზრდებს ე.წ. სახღვრის გადმოკვეთის პრობლემები შეექმნათ და ხელისუფლების ინიციატივით მსურველები გამოცდის გარეშე ჩაირიცხნენ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში. სწავლობენ თუ არა ასეთი სტუდენტები თსუ-ში?*

– თსუ-ში მათგან 21 სტუდენტი აგრძელებს სწავლას. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს, სახელმწიფოსთან ერთად, მაქსიმალურად იყოს ორიენტირებული სტუდენტების საჭიროებებზე, განსაკუთრებით კი იმ სტუდენტებისა, რომლებიც მგრძნობიარე ჯგუფებს წარმოადგენენ.

# აფხაზეთივით ლამაზი შრიფტი

თი ბი სი ბანკის პროექტის ,,წერე ქართულად“ ფარგლებში გამართული კონკურსის ,,ქართული ა“-ს 2019 წლის ერთ-ერთი გამარჯვებული სამხატვრო აკადემიის სამრეწველო დიზაინის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი ჯუმბერ ბეჭვაიაცაა. მის მიერ შექმნილმა შრიფტმა სახელწოდებით ,,აფხაზეთი” ნომინაციაში მხატვრული შრიფტი საუკეთესო შეფასება დაიმსახურა და პირველი ადგილი მოიპოვა.

მაია შონია




ჯუმბერ ბეჭვაიამ ამ კონკურსში პირველად ნომინაციაში ფუტურისტული დიზაინი 2016 წელს გაიმარჯვა. მაშინ მის შრიფტს ,,ჯუბო“ ერქვა. შრიფტების ,,აფხაზეთისა“ და ,,ჯუბოს“ თანაავტორი სამხატვრო აკადემიის ასოცირებული პროფესორი სვეტლანა მხჩიანია.

სამრეწველო დიზაინის სპეციალისტისთვის შრიფტები მხოლოდ საყვარელი საქმეა. კალიგრაფისტობით ბავშვობიდან იყო გატაცებული და რამდენიმე შრიფტი უბრალოდ, ისე თავისთვის შექმნა.

ჯუმბერი აფხაზეთიდანაა - გალის რაიონის სოფელ ღუმურიშში დაიბადა და გაიზარდა. ,,ჩემი პროფესიის სპეციფიკიდან გამომდინარე, აფხაზეთისთვის, ცალკეული პროექტების გარდა, რომელთა შორისაა რობოტი ,,სოხუმი“, ბევრი არაფერი გამიკეთებია. ამიტომ გადავწყვიტე, შემექმნა შრიფტი ,,აფხაზეთი“, - ამბობს იგი. რა ელემენტებია ჩადებული შრიფტის დიზაინში და რამ განაპირობა კონკურსში გამარჯვება, ამაზე ჯუმბერ ბეჭვაია თავად ისაუბრებს:

- კონკურსი ,,ქართული ა“ ორჯერ, 2016 და 2019 წლებში ჩატარდა. ამ კონკურსის ფარგლებში დაწესებულია ტექნიკური, მხატვრული, ადაპტირებული, ფუტურისტული და სხვა ტიპის შრიფტების ნომინაციები. 2016 წელს გავიმარჯვე ამ კონკურსის ნომინაციაში ფუტურისტული დიზაინი. წლეულს კი ნომინაცია მხატვრული შრიფტის გამარჯვებული გავხდი. როგორც სამრეწველო დიზაინის სპეციალისტისთვის, რომელიც სიახლეზეა ორიენტირებული, ფუტურისტული დიზაინი უფრო საინტერესო იყო, რადგან ფანტაზიის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. ასე შეიქმნა ქართულთან თითქოს შეუსაბამო, სამკუთხედის პრინციპზე და გეომეტრიულ მინიმალიზმზე აგებული შრიფტი ,,ჯუბო“, რომელიც არ მეგონა, თუ მოეწონებოდათ. მაგრამ კომისია ინოვაციური აღმოჩნდა და ჩემი ნამუშევარი გამოარჩიეს.

მეორედ უკვე მხატვრული შრიფტის ნომინაციაში ვცადე ბედი და უფრო პლასტიკური, ტრადიციული, კომპოზიციურად ნაცნობი ხასიათის შრიფტი ,,აფხაზეთი“ შევქმენი. ხელოვნებაში არა აქვს მნიშვნელობა, რას ამბობ, მნიშვნელოვანია, როგორ ამბობ. შეიძლება ბატალური სცენა იყოს დახატული და არ ვარგოდეს და შეიძლება ერთი სკამი, ან მზესუმზირა იყოს დახატული და გენიალური იყოს. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რას ხატავ, მთავარია, როგორ ხატავ. ასეა ლიტერატურაშიც - რა მოყევი, იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც ის, თუ როგორ მოყევი. ვიზუალურ ხელოვნებაში არსებობს კონკრეტული დარგები, მაგალითად, პლაკატი. პლაკატმა რაღაც უნდა თქვას, რაღაცისკენ მოგიწოდოს. შეიძლება იყოს მემორიალი, ძეგლი, ქანდაკება და თქვას - ომი ცუდია, მშვიდობა კარგია და ა. შ. კარიკატურამ შეიძლება თქვას, რომ რაღაც მანკიერია, გროტესკულია, სასაცილოა. მაგრამ ეს არის სპეციფიური სეგმენტები.

ზოგადად, ხელოვნება რამის მოსაყოლად კი არა, ემოციის შესაქმნელად იქმნება. რაც შეეხება შრიფტს,

საკითხის ასე დაყენება, თუ რისი თქმა უნდა ავტორს ამ შრიფტის შექმნით, არ შეიძლება. შრიფტისთვის მთავარია ორი რამ: ერთი -კითხვადობა და მეორე - შინაარსთან შესაბამისობა. თუ, მაგალითად, ყოველდღიურად წასაკითხი შრიფტია, მას თავისი სისადავე აქვს, მისალოცი ბარათებისთვის მხატვრული შრიფტია საჭირო. არის ავანგარდული, კლასიკური შრიფტები, ყველას თავისი ხასიათი აქვს. ამ სტილს უნდა შეესაბამებოდეს, რათა კითხვადობა არ დაკარგოს. შრიფტი რაც უფრო რამეს შეესაბამება, მისი კითხვადობა იკარგება, ამიტომ შრიფტები უნდა იყოს მაქსიმალურად მარტივი. თუმცა შეიძლება სწრაფად და ძალიან კარგად ვერ წაიკითხო, გაზეთის შრიფტივით. შრიფტი ,,ჯუბო“ არ არის მარტივად წასაკითხი, მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, გამოიყენეს აბრებზე, წარწერებზე, რძის პროდუქტებზე, წიგნებზე, სულ რომ არ მოველოდი, ისეთ რამეებზე. ეს შრიფტი ელიტარული და სპეციფიურია, კონკრეტულ გემოვნებას მორგებულია.

- ანუ ასეთი კონკურსებისთვის შექმნილი შრიფტები უბრალოდ კი არ არსებობს, არამედ ყოველდღიურობაშიც გამოიყენება.

- დიახ, თავიდანვე ასეც იყო ჩაფიქრებული. ერთი არის მინიმალისტური, ავანგარდული და ფუტურისტული და მეორე ტრადიციული და მხატვრული. მაგრამ ორივე არის სამკაული სათაურისთვის, აბრისთვის და არა ძირითადი ტექსტისთვის. ფონტების გრაფიკოსი არ ვარ, მაგრამ კონკურსში ჩემმა ნამუშევარმა მაინც დაიმსახურა მოწონება. კონკრეტულ ისტორიას შრიფტი არ ჰყვება, თუმცა რადგან აფხაზეთს მიეძღვნა, ძალიან სტილიზებულად, აბსტრაგირებულად, შეფარულად მაქვს რამდენიმე რამ ჩადებული. პირველ რიგში, მინდოდა შრიფტი აფხაზეთივით ლამაზი ყოფილიყო და ვფიქრობ, ამას მივაღწიე, რადგან ნომინაცია მხატვრულ შრიფტში გავიმარჯვე. ღრმად სტილიზებულად ჩადებულ სიმბოლურ მინიშნებებს კი ამჯერად არ დავაზუსტებ.

ამ შემთხვევაში ლაკონიურობა დამიფასეს და ამაში მომცეს პირველი ადგილი. შრიფტის შექმნას პრაქტიკული გამოყენების გარეშე აზრი არა აქვს. შრიფტი ,,აფხაზეთი“ ამ თვალსაზრისითაც მისაღებია. აქვე მადლობა მინდა გადაგიხადოთ ჩემს მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის და იმედს გამოვთქვამ, რომ მომავალში არა მხოლოდ ჩემს, არამედ სამრეწველო დიზაინის კათედრის საქმიანობაზეც ვისაუბრებთ.

## “აფხაზეთიდან აფხაზეთამდე“

### დავით ბაძაღუას ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

შალვა ბერიანიძე

საქართველოს მხატვართა კავშირმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის მხარდაჭერით, ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში, თანამედროვე ქართველი მხატვრის – დავით ბაძაღუას ფერწერული ნამუშევრების პერსონალური გამოფენა – ,,აფხაზეთიდან აფხაზეთამდე“ გამართა.

დავით ბაძაღუა განსაკუთრებული ხელწერით გამორჩეული მხატვარია, იგი არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მის მიერ ბოლო 2 წლის განმავლობაში შექმნილი ფერწერული ნამუშევრები.

გამოფენას საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარე გურამ ცერცვაძე უძღვებოდა. დავით ბაძაღუას მიერ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებსა და საერთოდაც, მის შემოქმედებაზე მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს სახალხო მხატვარმა, სამხატვრო აკადემიის პროფესორმა რადიმ თორდიამ, ხელოვნებათმცოდნემ ქეთევან ახობაძემ და სხვ..

# გვახსოვდეს აფხაზეთი!

სამახსოვრო ფოტოები და აღფრთოვანებული მაყურებელი, ხოლო სიტყვები - ,,გვახსოვდეს აფხაზეთი"- თითოეულ იქ მყოფ ადამიანს სახლში დაბრუნების იმედს მატებდა.

**სალომე წყაროზია,**
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ლიტერატურულ სალონში - ,,გვახსოვდეს აფხაზეთი“ -სოხუმელი პოეტი დალი ცაავა გაიხსენეს. ამ საღამოთი კი ოფიციალურად გახსნილად გამოცხადდა ეს ლიტერატურული სალონი. ლიტერატურული სალონები ადრეც იყო სოხუმის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. ახალ სალონს კი უხელმძღვანელებს ამავე ფაკულტეტის პროფესორი ნანა არახამია, რომელიც დალი ცაავას შემოქმედებითი საღამოს გამართვის ინიციატორი და ორგანიზატორი იყო.

მონიტორზე გამოსახული აფხაზეთის ულამაზესი ხედების ფონზე და კლასიკური მუსიკის ჰანგებში დალი ცაავას ლექსებს კითხულობდნენ სტუდენტები.

,,... ტირის თებერვალი, მხოლოდ
სიზმარია თეთრი მაგნოლია...“
,,...მტკივა ხერხემალი...“
,, ... არარად ქცეულა ჩემი ავგაროზი,
ბედი მუხთალია, ჟამი- უარესი...“

...ისმოდა დარბაზში და დალი ცაავას ლექსების თავიდან გადაკითხვის სურვილი უჩნდებოდა სტუმარსა თუ მასპინძელს...

დიდხანს ისმოდა მხურვალე ოვაციები, იყო ცრემლები, ყვავილები,

# „მე ვამშვიდებდი საკუთარ ტკივილს...“

## წერდა პოეტი დალი ცაავა - ანა ახმატოვასა და იოსებ ბროდსკის მეგობარი

**ნანა არახამია**

დალი ცაავა არაორდინალური აზროვნების პოეტია. მისი ლექსების პირველი კრებული „სიზმრები ტყავის სავარძელში“ 1984 წელს სოხუმში გამოიცა, მეორე და მესამე კრებულები „თორმეტი კაპრიჩიო“ (1998 წ.) და „პონტოს ევქსინოსი“ (2000 წ.) კი თბილისში. ამ ბოლო პოეტური კრებულისთვის პოეტს გიორგი შარვაშიძის პრემია მიენიჭა.

დალი ცაავამ ერთ ხანს პეტერბურგში იცხოვრა. აქ იგი დაუმეგობრდა ანა ახმატოვას, იოსებ ბროდსკის. ნინო ბექიშვილი დალი ცაავას მოსაგონარ წერილში წერს: „დალი ცაავას პეტერბურგიდან ნამდვილი სიმდიდრე ჰქონდა წამოღებული - ანა ახმატოვას ნაჩუქარი პატარა ჩანთა და თავისი ახლო მეგობრის იოსებ ბროდსკის ამერიკიდან გამოგზავნილი ავტოგრაფიანი წიგნები, ღია ბარათები და წერილები. ბროდსკის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ მის მოხუც მშობლებს სხვა მეგობრებთან ერთად დალი ცაავაც უვლიდა და პატრონობდა.

ერთნი ამბობდნენ, რომ ამ პოეტესას, რომელიც სრულიად ნორჩი ჩავიდა ლენინგრადში სოხუმიდან, პლატონურად უყვარდა ბროდსკი. სხვები კი მაგალითად, დალი ცაავას მეგობარი, პიტერული ანდერგრაუნდის წარმომადგენელი ელენე იგნატოვა საკუთარ მოგონებებში წერს, რომ „დალის ბროდსკი სერიოზულად უყვარდა და მთელი ცხოვრება მასზე იყო შეყვარებული“ და რომ „ქართველი პოეტი ქალი ბროდსკისთან შეხვედრას თავისი ცხოვრების უმთავრეს მოვლენად მიიჩნევდა“.

იოსებ ბროდსკი დიდი ინტერესით იყო საქართველოს მიმართ, ერთხელ ესტუმრა კიდეც ჩვენს ქვეყანას. შესანიშნავად აქვს ნათარგმნი ოთარ ჭილაძის ლექსი „გამოთხოვება“. არ არის გამორიცხული, დიდი რუსი პოეტისა და ამერიკელი ესეისტის, როგორც თავისთავს უწოდებდა ბროდსკი, გატაცება და ინტერესი საქართველოსადმი, დალი ცაავასთან მეგობრული კავშირითაც ყოფილიყო განპირობებული და ამ მეგობრობას ერთგვარი შემოქმედებითი იმპულსის როლიც შეესრულებინა. თუ გავითვალისწინებთ ელენე იგნატოვას მოგონებას, სადაც ვკითხულობთ: „საქართველო ბროდსკისთვის ძმები ჭილაძეები იყვნენ და კიდევ ერთი პიროვნება - ცნობილი ქართველი პოეტესა დალი ცაავა. ეს ის დალია, ბულატ ოკუჯავას „ქართული სიმღერის მუზა“ რომ იყო. ლეგენდარულმა პოეტმა მას მიუძღვნა ცნობილი ლექსი „დაე იმღეროს ჩემთვის ჩემმა დალიმ.“ ასევე იოსებ ბროდსკის დიდი სიყვარული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი უდაოდ დალი ცაავას დამსახურებაა. აი რას წერს ე. იგნატოვა თავის მოგონებებში: „ბროდსკის დაუწყია გალაკტიონის ლექსის „ცამეტი წლის ხარ“ თარგმნა, მაგრამ მეორე სტროფის შემდეგ არ ან ვერ გაუგრძელებია. დალი ცაავას სიტყვები გალაკტიონის

„მერის“ ბელა ახმადულინასეულ თარგმანზე: „გალაკტიონამდე მიწვდომა ყველას უნდა, თუმცა ეს ჯერ ვერავინ შეძლოო“, საკმარისი გახდა ბროდსკისთვის, დალი ცაავასთვის ტაბიძის ერთ-ერთი ლექსის სიტყვა-სიტყვით თარგმანი ეთხოვა. სწორედ „ცამეტი წლის ხარ“ არის ის ლექსი, რომლის მხოლოდ ერთი სტროფი თარგმნა იოსებ ბროდსკიმ და დალი ცაავას გაუმხილა, რომ მთელი ღამე გავათიე, მაგრამ მეტი ვერაფერი დავამატეო“. დიახ, ეს იყო იოსებ ბროდსკი, ხოლო გალაკტიონი ბროდსკისთვის მთელ საქართველოსთან იყო გაიგივებული.

ასევე საინტერესოა დალი ცაავას მეგობრული ურთიერთობა შვეიცარიელ ქართველოლოგ და მუსიკოს თომას ჰოიზერმანთან, რომელმაც კარგად შეისწავლა ქართული ენა, ქართული ფოლკლორი და როგორც ლიტერატორმა, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე ნაშრომიც გამოსცა... თომას ჰოიზერმანი სვიმონიშვილების ოჯახში ხვდებოდა ხშირად დალი ცაავას, მომავალში თავის მეგობარსა და ახლობელ ადამიანს. ისინი აქ ერთად ისხდნენ და საუბრობდნენ საინტერესო თემებზე. ამ შემთხვევაშიც ვფიქრობთ, მეტად ორიგინალური აზროვნებისა და დიდი განათლების მქონე დალი ცაავამ უფრო გაუცხოველა ინტერესი თომას ჰოიზერმანს ჩვენი ქვეყნის კულტურის, ფოლკლორისა და ლიტერატურული ტრადიციების მიმართ.

დალი ცაავა საკუთარი სტილის პოეტია. ამის თქმის საშუალებას, არა მარტო მისი საოცრად განსხვავებული მეტად ავანგარდული პოეზია იძლევა, არამედ მისი ლექსების დასათაურების (კაპრიჩიო) ორიგინალური ჩანაფიქრიც.

კაპრიჩიო (იტალ. capriccio, სიტყვასიტყვით ჭირვეულობა, ჟინიანობა) ცვალებადი ხასიათისა და თავისუფალი ფორმის ბრწყინვალე, ვირტუალური საკრავი პიესაა. (ჩაიკოვსკის „იტალიური კაპრიჩო“, რიმსკი კორსაკოვის „ესპანური კაპრიჩო“). ცვალებადი ხასიათი, თავისუფალი ლექსი, დალი ცაავასთვის ნიშანდობლივი განწყობილებებითა და იმპულსებით არის ნაკარნახევი. ამიტომაც ასე უხდება და ორიგინალურს ხდის მის ლექსებს სათაური - კაპრიჩიო.

პლატონის აზრით, პოეტი ღმერთის „მთარგმნელი“ და განმმარტებელია.

და მაინც რაზე წერს პოეტი? რა არის მისი ლექსის მთავარი სათქმელი? როგორია პოეტი ქალის შინაგანი სამყარო? რა თემებს დასტრიალებს მისი ფიქრები? ვინაა დალი ცაავას ლექსების ლირიკული გმირი? რა საკუთარი ნიშნები ეტყობა დალი ცაავას პოეზიას?

სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი წითელ ხაზად გასდევს პოეტის შემოქმედებას. „ერთი ფრთა თეთრი გაქვს, მოლაღურო, მეორე კი შავი“. პოეტი ქალი ამ სიტყვებით, რა თქმა უნდა, შეგვახსენებს ქვეყნის დასაბამიდან არსებულ პრობლემას, ბრძოლას კეთილსა და ბოროტს შორის, თემას, რომელიც ყველა დროის ესთეტიკოსს აწუხებდა. იმდენად მძლავრობს ბოროტება, რომ პოეტი თავის საყვარელ თუთიყუშს შესჩივის:

*„ვის ვუხმო სუბი - ჩემო საბრალო*
*თუთიყუშო?!*
*ფუძის ანგელოზი სახლიდან წავიდა,*
*ბუხარი გაცივდა,*
*ნაცრის ჩხრეკას აზრი არა აქვს, რადგან*
*საწნახელი საკუა ჭინკებით*
*და ტყის დედოფალს მგელი*
*შეუკაზმავს“ .*

გულისტკივილით წერს პოეტი, რომ „გაცვეთილი ნამუსის ქუდი გვიდევს ზანდუკში,“ ...ეკლის გვირგვინი ადგას კეთილს, ბოროტს დაფნის გვირგვინი ამკობს“.

ლირიკული გმირის ტანჯვა აღწერელია, წამება გაუსაძლისი: „იტირე ჩემო ბედისწერავ, შვებაა ცრემლი“. ნუგეშისმცემელიც კი არავინაა: „და მინდობილი უსაზღვრო სტიქიონს, მე ვამშვიდებდი საკუთარ ტკივილს...“ მისი „მწუხრი ნერვადაა ქცეული“, ხოლო გულს „შემოაფცქვნეს ხეჭო და ჭვარტლი,“ მხარს „მძიმე ჯვარი ვეღარ მიაქვს“, თითები „ნერვიულად ცახცახებენ“. მზეს გადაჩვეულა გული.

„არც სიცოცხლე, არც სიკვდილი სულს არ სწადია“, - წერს პოეტი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დალი ცაავა აშკარად განიცდის ტერენტი გრანელის პოეზიის გავლენას. გრანელი მის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში „გულიდან სისხლის წვეთები“, წერს: „არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“. იქნებ პოეტი ქალის სულს სიყვარულის, „პირველყოფილი სილამაზის“ დედოფლური სამყარო უხმობდა, რადგანაც წერდა: „როცა თამამად ამბობენ, მძულხარ, სად არის გრძნობა პირველყოფილი“ .

სილამაზე - სიყვარული?

ჭეშმარიტი სიყვარული ტანჯვაა, განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვაა და ეს განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვა და ტანჯვა არაფრით არ ნაზღაურდება. უფრო სწორად, ყველაზე დიდი საზღაური ის არის, ამგვარ ტანჯვას განცდის და ამგვარი მსხვერპლის გაღების უფლება რომ მოგეცა (ოთარ ჭილაძე). დალი ცაავასთვის სიყვარული მათლაც რომ მსხვეპლშეწირვაა...

*,,მიყვარხარ.*
*როცა მზე ღრიანჯალს ეძებს სილაში*
*და სიცოცხლესთან*
*ბედისწერის ყრილია კენჭი,*
*როცა სიკვდილიც აღარ არის*
*უკვე წამება“ ...*

აფხაზეთის თემატიკას ქართველი მწერლების მხატვრულ მემკვიდრეობაში ხშირად ვხვდებით, მაგრამ ამ წალკოტ მხარეს ნაზიარებ ქართველ პოეტთა შემოქმედებაში ეს თემა მეტად განსხვავებული ექსპრესიითაა წარმოჩენილი. მათი სულით ობლობის მიზეზი აფხაზეთია. ლექსები, რომლებიც შეტანილია დალი ცაავას კრებულში „პონტოს ევქსინოსი“ სწორედ აფხაზეთს ეძღვნება. (შავ ზღვას ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში ბერძენი ზღვაოსნები პონტოს აქსინოსს უწოდებდნენ (po#tos axei#os), რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს არასტუმართმოყვარე ზღვას. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან კი პონტოს ევქსინოს-ად (po#tos evxei#os), როგორც სტუმართმოყვარე ზღვად, მოიხსენიებდნენ.

დალი ცაავას პოეზიაში იმდენად ჩქეფს ეროვნული სისხლი და იმდენად ძლიერია აფხაზეთის მონატრება, რომ ამ მოტივზე შექმნილი ლექსები განსაკუთრებულად ამახსოვრდება მკითხველს. პოეტის „დამძიმებული სხეული“, ობლად დარჩენილი მოლაღური, „თეთრი ხომალდების მშვიდი ქარავანი“, - ხსოვნაში ჩარჩენილი ტკივილად, აფხაზეთი არ აძლევს სიმშვიდეს პოეტს და სულის შემაშფოთებელი მონატრებით წერს:

*,,ვიცი, ბრუნდება ყველა ბარტყი*
*ბუდის ძახილზე,*
*მაგრამ სადაა ჩემი ბუდე ან*
*სამარტვილე?!“*

და მაინც სიკეთისა და სინათლისათვის იბრძვის პოეტი. ამ ბრძოლაში მისი იარაღი სიტყვაა. ამიტომ სრულიად გასაგებია პოეტის მუდარა „იყავ სიტყვაო, ჩემო, მყარი და ურყევი - კლიტე და ბოქლომი“. ეს სტრიქონები ჩვენი ფოლკლორიდანაა და წარმოადგენს ხალხური შელოცვის რემინისცენციას.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დალი ცაავას პოეზია მისი ინტელექტუალური უნარების კომპლექსია პოეტურ პრიზმაში ორიგინალურად წარმოჩენილი. მისი პოეზია ელოდება ლიტერატურულ კრიტიკას, რაც მის ბევრ ახალ პლასტს წარმოაჩენს.

ჩვენ კი წერილი გვინდა დავასრულოთ პოეტის უახლოესი მეგობრის იოსებ ბროდსკის სიტყვებით: „ჩვენ მივდივართ, სილამაზე კი რჩება, ჩვენ მომავლისკენ მივემართებით, სილამაზე კი - მუდმივი აწმყოა.“ ეს სიტყვები ნამდვილად ვრცელდება დალი ცაავას პოეზიაზე, რომელიც ყველა დროის ადამიანისათვის იქნება... „სილამაზე მუდმივი აწმყოსი.“

---

საქართველოსა და აფხაზეთის სახალხო არტისტის, სახელმწიფო, კოტე მარჯანიშვილისა და გიორგი შარვაშიძის პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენისა და, უკრაინის სახელმწიფო „პრესტიჟის“ ორდენის კავალრის დიმიტრი (დიმა) ჯაიანის გარდაცვალებიდან ორი წელი გასრულდა.

გასულმა დრომ კი თანდათან უფრო მეტად ცხადყო არაერთხელ ნათქვამი: დიმა ჯაიანის სახით აფხაზეთის პრობლემას, აფხაზეთიდან დევნილებს იმედიანად შემძახებელი კაცი დააკლდა... და მაშინ, როდესაც პრინციპული, გაბედული და თუნდაც გამამხნევებელი სიტყვაა საჭირო, არაერთხელ ვისაკლისებთ და კვლავაც მოვისაკლისებთ მას...



# დიმას...

ცხოვრება, ზოგჯერ,
ისე ჩაიარს -
დრო აღარ რჩება
უკან გახედვის...
მაგრამ შენ - ლომს
და დიმა ჯაიანს,
გკითხავ: უდროოდ
რატომ წახვედი?
რატომ დატოვე
შენი სცენა და
მშვენიერება ფარდის
დეკოლტის? -
სცენიდან მანამ
უნდა გენათა,
ვიდრე სოხუმში
დაბრუნდებოდი!
სცენაზე ჰგავდი
გრძნობის აკიდოს
და ხსოვნის წვიმას
ღვრიდი უწყვეტელს
და აფხაზეთზე შენგან
წაკითხულ
ლექსებს უცრემლოდ
ვეღარ უსმენდნენ.
დევნილთა იმედს
ისვამდი მხრებზე
და მათ ჭრილობებს
ცრემლით კემსავდი...
დიმა, სოხუმზე დაწერილ
ლექსებს
ვინ წაიკითხავს აწი
შენსავით?!

**ბათუ შარელი**

# სამურზაყანოს მემატიანე

2019 წელს გამომცემლობა ,,არტანუჯმა" აფხაზეთის სერიით გამოსცა კრებული ,,ნოდარ შონია - ძიებანი სამურზაყანოს ტოპონიმიიდან". კრებული ცნობილი მხარეთმცოდნის, გალის ისტორიულ-გეოგრაფიული და წარჩის ღიაცისქვეშა მუზეუმების დამაარსებლის ნოდარ შონიას მიერ ჟურნალ-გაზეთებში სამურზაყანოს ტოპონიმიაზე გამოქვეყნებულ სტატიებს უყრის თავს. წიგნს ერთვის ვალერიან ზუხბაიას, ირმა გაგუასა და ჯემალ შონიას სტატიები ნოდარ შონიას მიერ საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებაში შეტანილ მნიშვნელოვან წვლილზე. წიგნის შემდგენელ-რედაქტორია ისტორიის დოქტორი იგორ კეკელია, ხოლო სერიის მთავარი რედაქტორია - ბუბა კუდავა. იგორ კეკელია მიიჩნევს, რომ კრებული დიდ დახმარებას გაუწევს კოლხეთის ონომასტიკის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებსა და სპეციალისტებს. ჩვენ კი, ისღა დაგვრჩენია, რომ ამ კრებულს გემოვნებიანი მკითხველი ვუსურვოთ.

ნოდარ შონია 1935 წელს გალის რაიონის სოფელ წარჩეში დაიბადა. ჯერ წარჩეს რვაწლიან, შემდეგ - აჩიგვარის საშუალო სკოლაში სწავლობდა. როგორც პროფესორი ვალერიან ზუხბაია წერს: ნოდარ შონიამ ,,1953 წელს, მე-8 კლასის მოსწავლემ, სოფლის სიძველეებით გატაცებულმა, რჩევისათვის ცნობილ ქართველ არქეოლოგს, გ. ლომმათიძეს მიმართა. მეცნიერმა პასუხი არ დააყოვნა: ,,თქვენი წერილიდან არ სჩანს, თუ რამდენი წლისა ხართ, ან რომელ კლასში სწავლობთ ამჟამად, მაგრამ ის კი სჩანს, რომ ჩვენი ძველი კულტურის ძეგლების მიმართ სიყვარული და მათი შესწავლის სურვილი მართლაც, ადრე გაგღვიძებიათ. ასეთმა სიყვარულმა შეიძლება დიდ წარმატებამდე მიგიყვანოთ, მაგრამ საამისოდ არა მხოლოდ ჩვენი, ან სხვა ვინმე მრჩევლის იმედი უნდა გქონდეთ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, - თქვენი შეგნებისა და სიდინჯის".

ნოდარ შონია სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სოფელ წარჩის სკოლაში ორი წლის განმავლობაში ასწავლიდა. ის თავის მოწაფეებს მშობლიური კუთხისა და სოფლის ისტორიულ და ბუნების ღირსშესანიშნაობებს: ეკლესიებს, ციხე-გალავნებსა და გამოქვაბულებს აცნობდა და მათში წარსულის სიყვარულს აღვივებდა.

თავად მას კი, როგორც უკვე ვთქვით, მშობლიური სოფლის სანახებში მრავლად შემორჩენილი ისტორიული ძეგლებისა და სიძველეებისადმი ინტერესი ბავშვობიდანვე არ ასვენებდა. რაიონის მატერიალური და სულიერი კულტურული მემკვიდრეობის თავმოყრა და მუზეუმისათვის საფუძვლის ჩაყრასაც ჯერ კიდევ მოსწავლეობიდან შეუდგა, რათა მშობლიური მხარის ბუნებისა და ისტორიის მონაპოვარი გადაერჩინა.

წიგნის შემდგენელ-რედაქტორი იგორ კეკელია აღნიშნავს, რომ ,,მუზეუმისათვის საჭირო ნივთების შეგროვება ნოდარ შონიამ 1952 წელს დაიწყო და 1962 წელს დედამისის, პაშა ზუხბაია-შონიას ორთვალიან ჯარგვალში მოაწყო ექსპოზიცია თემაზე - ,,რევოლუციამდელი სამურზაყანო". მან მუზეუმში რამდენიმე ასეულ ექსპონატს მოუყარა თავი. აქ წარმოდგენილი იყო ცრუმორწმუნეობასთან, ტყავის დამუშავებასთან, მჭედლობასთან დაკავშირებული ექსპონატები, ნადირობის ხალხური საშუალებანი, არქეოლოგიური და საარქივო მასალები. სამურზაყანოელ საზოგადო მოღვაწეთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ დოკუმენტებს, მემორიალურ ნივთებს და ა.შ ცალკე სტენდი ეთმობოდა". ამის შემდეგ გალის ხელმძღვანელობამ იმსჯელა და შესაძლებლად მიიჩნია, რომ წარჩის ექსპონატებისა და ძირითადად ნოდარ შონიას მიერ შეკრებილი ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალების ბაზაზე გალში რაიონის მუზეუმის შექმნილიყო. 1972 წლის 10 მაისს გალში რაონული მუზეუმი გაიხსნა. მასვე ეკუთვნის სამურზაყანოს რევოლუციამდელი მეგრული ყოფის ღიაცისქვეშა მუზეუმის გახსნის იდეა, რომლისთვისაც მან მეგრული ყოფის ამსახველი საკუთარი ოდა-სახლი, მისი დამახასიათებელი ინვენტარით დათმო, შემდგომ კი წარჩის მუზეუმს მომიჯნავე ტერიტორიაზე 2 ჰა მიწის საკოლექციო ნაკვეთი გამოეყო. ნოდარ შონიასავე წინადადების საფუძველზე გადაწყდა სოხუმის რაიონის სოფ. აჩადარის ტერიტორიაზე ,,აფხაზური ხალხური ყოფის ღიაცისქვეშა მუზეუმის" გახსნაც.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ნოდარ შონიას ღვაწლი გალის რაიონის ტერიტორიაზე მიმოფანტული ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიების თვალსაზრისითაც. ამასთან დაკავშირებით ამავე წიგნში გამოქვეყნებულ პროფესორ ვალერიან ზუხბაიას წერილში ვკითხულობთ: ,,1955 წელს მდ. ოქუმის ხეობაში, სოფელ ღუმურიშის ტერიტორიაზე, ნოდარ შონიამ ქართული წარწერებიანი ქვა აღმოაჩინა, მასზე მოხსენიებულია ეკლესიის მშენებელი ,,დედოფალთ-დედოფალი საგდუხტი". წარწერის ტექსტი თეიმურაზ ბარნაველმა ამოიკითხა და X-XI საუკუნეებით დაათარიღა. ესაა დღემდე ნაპოვნი ყველაზე ძველი ქართული წარწერა აფხაზეთში. ეპიგრაფიკული ძეგლი, ამჟამად აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. ეს ფაქტი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ხ. ბდაჟებას აღნიშნული აქვს თავის შრომაში - ,,დამწერლობის ისტორია აფხაზეთში". მოგვიანებით, ნ. შონიამ მშობლიურ სოფელ წარჩეში ქართული წარწერებიანი ქვა იპოვა, რომელზეც ეწერა: ,,ეს წმინდა მთა ეკუთვნის პაშაძეს". პაშაძის პიროვნება ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობია. წარწერა XII-XIII საუკუნეებით თარიღდება. 1903 წელს ქართველმა ისტორიკოსმა მოსე ჯანაშვილმა ენგურის მარჯვენა მხარეს, სოფელ დიხაზურგაში, ეკლესიის ნანგრევებში აღმოაჩინა ქვა წარწერით: ,,ქ. გრიგოლს, გალატოზთ უხუცესს, შეუნდვნეს ღმერთმა, ამინ". მ. ჯანაშვილის შემდეგ წარწერებიანი ქვის ადგილი უცნობი იყო. ამ რამდენიმე წლის წინათ დიხაზურგში ნ. შონიამ, წმ. ბარბარეს ეკლესიის ნანგრევებზე ეს ქვა იპოვა. საქართველოს მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებმა ეს წარწერა XII-XIII საუკუნეებით დაათარიღეს, რომელიც გალის სამხერთმცოდნეო მუზეუმში ინახებოდა" .

ყოველივე ამასთან ერთად ნოდარ შონიამ გალის მუზეუმის სამეცნიერო ბიბლიოთეკას - ძველი და ახალი წიგნების იშვიათი გამოცემები შესწირა. პარალელურად ის წერდა და პერიოდულ პრესაში აქვეყნებდა სამეცნიერო ნაშრომებს, სტატიებს, ჩანახატებს და პუბლიცისტურ წერილებს იმ დროისთვის აქტუალურ საკითხებზე.

ნოდარ შონია 1995 წელს, 60 წლის ასაკში გარდაიცვალა და მშობლიურ წარჩეშია დაკრძალული. სამწუხაროდ, ომმა მის მიერ შექმნილი გალისა და წარჩეს მუზეუმებიც შეიწირა. ათასობით ექსპონატი - ხელნაწერები, ეთნოგრაფიული და არქეულოგიური მასალა, მემორიალური ნივთები უგზო უკვლოდ დაიკარგა და განადგურდა.

გთავაზობთ ნოდარ შონიას ერთ-ერთ წერილს - ,,წარჩე - ერთიანი სოფლის სახელი", რომელიც ზემოთ ხსენებულ კრებულშია შესული.

მოამზადა შალვა ბერიანიძემ

# „წარჩე" - ერთიანი სოფლის სახელი

გალის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტრიული დაყოფის ისტორიითა და ადგილობრივი გეოგრაფიული სახელწოდებებით დაინტერესებულმა ადამიანებმა კარგად იციან, რომ მდინარეების - ოქუმისა და ოხოჯის - ხეობებში მდებარეობს სოფელი წარჩე და იგი ამ სახელწოდებით XVII საუკუნიდან არის ცნობილი. ადრეული საუკუნეებში მას ტარსურა-მოხესაც ეძახდნენ თურმე.

ადმინისტრაციული ცენტრის სიმბოლოდ ამ სოფლის შუაგულში (მაშინ წარჩე ტერიტორიულად უფრო დიდი იყო: ის მოიცავდა დღევანდელ მუხურს, აჩიგვარას, ბედიისა და ჩხორთოლის ნაწილს), ე. წ. „ჯიხის" ციხე-კოშკზე, იტალიელი მისიონერის - ქრისტეფორე კასტელის - ნახატის მიხედვით, XVII საუკუნიდან დრაშა ფრიალებდა. აქვე იყო ციხისთავის, ხევისთავისა და მამასახლისის რეზიდენცია. მათ ნაფუძარზე ამჟამად წარჩის სასოფლო საბჭო მდებარეობს.

30-იანი წლებიდან წარჩეში შეიქმნა ჯერ ერთი, მერე მეორე კოლმეურნეობა. შემდეგ ისინი შესაბამისად მეციტრუსეობის მეურნეობებად გადააკეთეს: ერთი მათგანი ფშაურის უბანშია განლაგებული და ეშბას სახელობისაა, მეორე ფუწყურ-ნახინგუშია და წითელი დროშის სახელს ატარებს. ისტორიული წყაროების მიხედვით წარჩე დაყოფილია შემდეგ უბნებად: წარჩე (ცენტრი), ნახინგუ, ფშაური და ფუწყური. როგორც რეალური ვითარებიდან ჩანს, მავანნი და მავანნი, პირადი მოსაზრებისა და სარგებლობის მიზნით, სოფლის ამგვარი დაყოფით არ კმაყოფილდებიან, ოფიციალურად თუ არაოფიციალურად წერენ: პირველი წარჩე, მეორე წარჩე (იხ. გაზეთი „ლენინელი", 21 მაისი, 1990 წ. გაზეთი „გალი", 24 ივლისი, 1990 წ.)...

ეს უხეში შეცდომაა, რადგან ტოპონიმი „წარჩე" ადმინისტრაციული და ისტორიული მნიშვნელობისაა თითოეული უბნისთვის, მთლიანად სოფლისთვის და მისი დაკნინების უფლება არავის აქვს.

არის ერთადერთი და მარადიული სახელწოფება ერთიანი სოფლისა - წარჩე.

სოფლების ანალოგიური სახით დაქუცმაცებამ თავის დროზე წარმოშვა ქვემო და ზემო ბარღები, პირველი და მეორე გუდავა და ა. შ, რაც გეოგრაფიული, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის მაღალ კულტურაზე, ეროვნული თვითშეგნების სასურველ დონეზე სრულებითაც არ მეტყველებს. და რაც ყველაზე უარესია - ამახინჯებს ამ სოფლების სახელებს, რომელთაც საუკუნეების განმავლობაში სათუთად ინახავდა აქაური ხალხი.

ამიტომ, თამამად შეიძლება ითქვას, ვინც სოფლის თუ ქალაქის სახელწოდებებს ამახინჯებს, ის ჩვენს ეროვნულ მემკვიდრეობას ხელყოფს.

დადგა დრო, ჩავიხედოთ ამ საქმეში. წარჩისა თუ სხა სოფლების ცალკეული უბნების საზღვრებზე გაკეთდეს უბნების სახელწოდებებისა და მათ შორის მანძილის მიმანიშნებელი ფირ-ნიშები.

ნოდარ შონია

*გაზ. „ლენინელი", № 96, 11 აგვისტო, 1990*

# სოხუმის სტელა

სოხუმის სტელა წარმოადგენს საფლავის ქვას, იგი მარმარილოსგან არის დამზადებული და აღმოჩენილია 1953 წელს მდ. ბესლეთისა და შავი ზღვის შესართავთან, ამჟამად ზღვით დაფარული უძველესი ქალაქის ნაწილში. სტელა (სიმაღლე 157 სმ; სიგანე 92 სმ) ოთკუთხაა, სამფიგურიანი. მიცვალებული გამოხატულია სავარძელში მჯდომარე პოზაში. მარჯვენა ხელი მოხვეული აქვს ტიტველ ყმაწვილზე, რომელიც მის მუხლებთანაა დაჩოქილი. უკანა ფონზე გამოსახულია ანტიკურ პეპლოსში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი, რომელსაც მარცხენა ხელში უჭირავს პატარა ყუთი, სავარაუდოდ, მიცვალებულისთვის ჩასატანებელი სამკაულით. სავარაუდოდ ეს არის მიცვალებულთან გამოთხოვების სცენა. მთელი კომპოზიცია, დეკორი, დამზადების ტექნიკა ტიპურია ადრეანტიკური ხანის ხელოვნებისთვის და დათარიღებულია ძვ.წ. 430-420 წლებით. სოხუმის სტელას მთელი კომპოზიცია ანტიკური გავლენითაა შექმნილი, აშკარაა, რომ სტელა დამზადებულია ბერძენისთვის და განთავსებული იყო მის საფლავზე, რაც სოხუმში ბერძენ მოახალშენეთა მნიშვნელოვანი კასტის არსებობას ადასტურებს.

სოხუმის სტელას შესახებ ინფორმაცია არ მოგვეპოვება, რადგან ის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობას და მისი ამჟამინდელი მდგომარეობის შესწავლა შეუძლებელია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, იგი ინახება ქალაქ სოხუმის მუზეუმში.

# ომი და ქალი

მაია შონია

ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში, აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებით, პროექტის ,,ომი და ქალი“ ფარგლებში, რეჟისორ ირინა ბოკუჩავას ფილმის – ,,ომის პატარძალი“ – ფრაგმენტის პრეზენტაცია გაიმართა.

ირინა ბოკუჩავა არის დამდგმელი რეჟისორი და სცენარის ავტორი აფხაზეთის ომის თემაზე შექმნილი დოკუმენტური ფილმებისა: ,,ტყის ძმები,,, ,,საუკუნის დანაშაული,, და ,,როცა კარიბჭე გაიღება,,. მას აფხაზეთის თემაზე ასევე გადაღებული აქვს მუსიკალური კლიპები: ,,გამარჯობა, აფხაზეთო შენი!,,, ,,ქართულ-აფხაზური შერიგების ჰიმნი,, და ,,ვარადა". რეჟისორისთვის ,,ომის პატარძალი,, პირველი მხატვრული მძაფრსიუჟეტიანი ფილმი იქნება, რომელიც აფხაზეთის ომში მტრის მიერ სასტიკად ნაწამები ქართველი ქალის ისტორიაზე მოგვითხრობს. სცენარის ავტორი და რეჟისორია ირინა ბოკუჩავა, ოპერატორი - ბექა ფარჯიანი.

პრეზენტაცია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა როლანდ ნიჟარაძემ გახსნა. სიტყვით გამოვიდნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი, მწერალი გურამ ოდიშარია, საქართველოს პარლამენტის წევრი, დეპუტატი ადა მარშანია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ ხუბუა და სხვ. პრეზენტაციას აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, აფხაზეთის ა/რ მთავრობის წევრები, აფხაზეთის ომის ვეტერანები, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# დიდი მონატრებით დაწერილი წიგნი

“ჩაის ამინდები” ნანა ჯეჯეიას ნოველების მეორე კრებულია, რომელიც მან ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში გამოსცა და ის თავისი სათქმელით პირველი წიგნის ,,სადღაც გადარგული ბავშვობა” ბუნებრივი გაგრძელებაა. მათი გაგრძელებაც, როგორც თავად ავტორი ამბობს, მალე იქნება...

ნანა ჯეჯეია რამდენი წელია უკვე ამერიკაში, კალიფორნიის შტატში ოჯახთან ერთად ცხოვრობს. მან და მისმა მეუღლემ - ავთო ჯეჯეიამ იქ საკუთარი საქმე და ადგილი იპოვეს, ქალიშვილებმა - თამუნამ და ნინომ უნივერსიტეტები დაამთავრეს და ოჯახები შექმნეს... შვილიშვილიც ჰყავთ, კიდევ ეყოლებათ... მაგრამ ნოსტალგიას, მშობლიური კუთხისა და ადამიანების მონატრებას ვერაფერმა უწამლა. მათ გაყუჩებას კი ნანა ჯეჯეია ახლა მშობლიური გალის ამბების, იმ ბედნიერი დროის, იქაური მეზობლების, მეგობრების, ახლობელი ადამიანების ქაღალდზე გაცოცხლებით ცდილობს... სიტყვაც უქრის, ფრაზაც მოჰყვება და შთამბეჭდავად ხატავს პორტრეტებს, საინტერესო ეპიზოდებს და უამრავი ადამიანის გულწრფელ ემოციას იწვევს.

გთავაზობთ ორ ნოველას ნანა ჯეჯეიას წიგნიდან " ჩაის ამინდები" .



ნანა ჯეჯეია

## მეხუთე დრო

შემოდგომა კი გულუბრყვილოა, უანგარო და მიამიტი. ამიტომაც უხვად გასცემს ყველაფერს, რაც აბადია.

ენდობა ფოთოლცვენას და შარახვეტია ქარებს, რომლებიც, შარშანდელივით, უხვად მოდენიან ღრუბლებს და ისევ მოიტანენ ამღერებულ წვიმებს. მალე შეირევს გრილ ნაკადსაც თბილი ამინდები. ყინვისგან გაიკვეთება ჰაერი და ძვლებამდე გაატანს სიცივე, ნესტოებშიც შემიძვრება, ცხვირის წვერს მომწვავს, ამიწითლებს, სურდოთი დამაჯილდოებს და ამის სანაცვლოდ, თავისთან მიმიწვევს ცხელი ჩაის დასალევად და სამუსაიფოდ. ჭორიკნობა არ იცის ჩაიმ. ის გულითადი საუბრების მოყვარულია და ტყუილის თქმასაც ნაკლებად ახერხებს ჩაიზე მიპატიჟებული ადამიანი.

ასეთ დროს, როცა აგრილდება ხოლმე და ჩავთბუნდები დიდი ზომის სვიტერში, ყოველთვის მივდივარ და ვდგები სარკის წინ, საიდანაც, რაც დრო გადის და მეტ ფოთოლცვენას ვითვლი, სულ უფრო და უფრო დედაჩემი შემომყურებს და იქნებ, ამიტომაც მიყვარს ჩემი მარტოობის დრო, კარგად რომ დავაკვირდე დედის ნაკვთებს სარკეში. არ ვეძებ საკუთარ თავს, რადგანაც ჯერ არ დამიკარგავს ის. თითქოს შევეგუე და არ მაფრთხობს ეს ასაკი. პირიქით, ის შესანიშნავი რამ არის! ვისაც ნამდვილად უყვარხარ, კიდევ უფრო გიფრთხილდება. იმას კი, გულზე რომ არ ეხატებოდი და გმტრობდა, ახლა მეგობრობის სურვილი გასჩენია და ქათინაურებით გაწუხებს.

მაინც, შარშანდელზე კიდევ უფრო მეტად ჩამოვიქაჩავ ჯემპრის სახელოებს ისე, რომ ხელის მტევნებიც კი დამიფაროს, რათა ვერავინ შენიშნოს წლების დასტური მასზე - ეს უცხო, ლურჯად გაწოლილი გზები და წვრილად დაყრილი ბილიკები.

ქარებს გადავაბრალებ ამ შემოდგომის დადგომას...

ან სულაც, იმ ძველ შალს გადმოვიღებ და მოვიხურავ, თავისი კუბოკრული ხაზები ჯერ კიდევ რომ არ არევია ლოთი-შფოთი კაცის ნაბიჯებივით, დაკეცილი მიდევს კარადაში და გასული წლის შემოდგომიდან მელოდება. ჩემი მყუდროების შემქმნელია მისი მქრქალი ფერები. მოთმინებით, ერთგულად მიცდის, როდის დამეწყება ის ჟამი, ჩაის და წიგნების სეზონს რომ ვეძახი. მე კი ვაგვიანებ, რადგანაც წელიწადში ორი დრო მაქვს საამისოდ გადანახული - შემოდგომა და მერე - მისი სიკვდილის საოცარი რეკვიემი. ეს მეხუთე სეზონი ხანმოკლე, მაგრამ შემაძრწუნებლად მშვენიერი, დავამატე ჩემი წლების ოთხ დროს. სამყაროში არავინ და არაფერი კვდება ალბათ ასეთი სილამაზით. მხოლოდ მას, შემოდგომის მიწურულს, შეუძლია მორჩილად, ფერხთით დაგიყაროს, ზედ გადაგატაროს ხიდან ჩამოცვენილ ულამაზეს სიკვდილებს და ფერთა მოზაიკასთან თამაშით დაგემშვიდობოს.

გამოთხოვების ჯადოქარია ის ჩემი დამატებული, წელიწადის მეხუთე დრო - დამარცხებული სიკვდილი!

სრულყოფილებამდეა მიყვანილი ყველა მისი ფრაგმენტი, დეტალი, გაზავებული ფერები, ხაზები, შეგრძნებები, არომატები - ჭაშნიკად რომ აქცევს მთელ სეზონს, სახლის სიმყუდროვეც იცვლება ამ დროს და, რატომღაც, შენი ხელით შეკერილი ფარდების დაკიდება გინდება. ფუსფუსებ სხვადასხვა ხილთან, ბოსტნეულთან. ხან ახალგამომცხვარი პურის, ხან ვანილის, დარიჩინის და ათასი სხვა სანელებლის დამბანგავ სურნელს ატრიალებ ირგვლივ. ავსებ, ავსებ სითბოთი და მყუდროებით კერას.

მიყვარს შემოდგომის ჩაუმდგარი და მერე მოულოდნელად დადინჯებული ქარები. ხასიათები, სიმწიფე... ეს საოცარი სიმწიფე და ასე სათუთად, ზამთარს გადაბარებული ჩემი თავიც კი...

## ჩაის ამინდები

დედას უყვარდა ულასთან სტუმრობა და ზამთრის ღამეებს ხშირად ათენებდნენ ერთად. ჩაის გააწყობდნენ. თან საუბრობდნენ. ულას ისევ გადაავიწყდებოდა და სქელ ფინჯანში ჩაუსხამდა ჯერ მდუღარე წყალს და მერე დაამატებდა ფერს. მიაწოდებდა მეგობარს. დედა ცხვირს აიბზუებდა, ამ ორ შეცდომას ვერ ,,პატიობდა“ და სულ ბუზღუნებდა, რადგანაც, თვითონ, ყოველ დალევაზე ახალ ჩაის აყენებდა და გამჭვირვალე, თხელი ჭიქით მიირთმევდა. მის დაყენებულ ჩაის სიახლის განცდა მოჰქონდა და სიყვარულის შესახვედრად მიგაფარფატებდა თითქოს. ყინვაშიც კი თავზე სურნელოვან ყვავილებს დაგაყრიდა. ალბათ ის შეგრძნება რომ მინდა დავიბრუნო, ამიტომ მექცა ჩვევად ატმის კვირტის ორ თითს შუა მოსრესა. ეს ის სურნელია, დედას დაყენებულ ფერს რომ ახლდა. თითქოს ყველა პრობლემის გადამჭრელი იყო, გათბობდა, გატკბობდა და ყოველთვის გულწრფელობისკენ გიბიძგებდა მისი შემოთავაზებული ჩაი.

ულასთვის კი ის შაქრიანი, შეფერილი მდუღარე წყალი იყო მხოლოდ. შეეძლო, ორი დღის წინ დაყენებულიც უპრეტენზიოდ დაელია და სიმწკლარტესაც ვერ იგრძნობდა. ხოლო პირველად ცხელ წყალს დაასხამდა ჭიქაში თუ ფერს, ეს თანმიმდევრობა სასაცილოდ არ ჰყოფნიდა და დედაჩემის უცნაურ ხასიათს მიაწერდა ამ ახირებას (ცერემონიების თავი გაქვსო, ეტყოდა), რომელსაც ჯიუტობაშიც კი უთვლიდა.

- გიხარიაო ჩემი წვალება, - კვიმატობდა ხალისიანად. გადააქნევდა თავს გაკვირვებული და - რა განსხვავებაა ახლა ამ ორ ჭიქა წყალს შორისო? - იკითხავდა გულმოსული. ჯერ თავისი კობალტის, ლურჯი და ოქროსფერი ორნამენტებიანი ფინჯანიდან მოხრუპავდა, რაზედაც დედაჩემი ეხუმრებოდა: კობალტი არ შველის ამ საქმესო (და ამ დროს ,,კობალტს“ ირონიულად, წამღერებული ,,ლ“-თი წარმოთქვამდა). მერე დედის თხელ ჭიქას წაეტანებოდა, პატარა ფიალით ხელის გულზე დაიდებდა. მეორე ხელსაც მიაშველებდა, მაღლა ასწევდა ჭაღისკენ და შუქზე კარგად გახედავდა. კეხიანი და სახასიათო ცხვირის ნესტოებს ააცმაცუნებდა, გრძლად მოხრუპავდა სითხეს, გააწკლაპუნებდა პირს, რაც იმის ნიშანი იყო, რომ განსხვავება მაინც ვერ ნახა გემოში და მისთვის ისევ მითი იყო და მსოფლიო ზღაპარი, დედას ჩაის მისტიკურობა...

გულამოჭრილი კაბების ჩაცმა უყვარდა ულას. ტანსაცმლის მაღაზიაში რომ შევიყვანე პირველად, თვალები გაუნათდა დედაჩემს და საკიდრიდან სწორედ გულმოღეღილი კაბა ჩამოხსნა.

- ხომ იცი, როგორ გაუხარდება საჩუქრად რომ ჩავუტან. არ დამიშლია. კი, მოუხდება - მეთქი და ჩავდეთ კალათაში. მერე ფანელის ყვავილებიან ხალათს მოჰკრა თვალი და ისეთი სიყვარულით გაშალა და ჩაიხუტა, რომ განზე დავდექი. მინდოდა ამომეცნო, ვინ გაიხსენა ამ წუთას. დიდხანს არ მალოდინა და როგორ გაათბობს ლიკოს ეს, იმ ,,ფუფაიკასთან“ ერთადო, ხელით მანიშნა იქვე დაკიდებულ ღამის პერანგეებზე. ვიყიდეთ ესენიც. ისე მოვიარეთ დიდი სავაჭრო ცენტრი, დაღლა არ გვიგრძნია. კიდევ რამდენჯერ გავიგონე მისი აღფრთოვანებული ,,დედაა!“ და გავეკიდე მორიგი კაბის თუ ბლუზის ჩამოსახსნელად. მერე იმ ჩემოდანში ჩაალაგა ფაქიზად დაკეცილი ყველა ნაყიდი ტანსაცმელი და სხვა ნივთი, საქართველოში წასაღებად რომ ამზადებდა და ყოველ დღე, სულ პატარა რამეს მაინც რომ ამატებდა.

# ფერწერაში არეკლილი სამყარო

## მხატვარ ალექსანდრე თოდუას პერსონალური გამოფენის გამოძახილი

ვალერი არქანიას სახელობის არტ-გალერეაში მხატვარ ალექსანდრე თოდუას პერსონალური გამოფენა ,,ორი შვიდიანი" მოეწყო. გამოფენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ორგანიზებული იყო.



### შალვა ბერიანიძე

ალექსანდრე თოდუა - საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი, ორიგინალური ხელწერის მქონე მხატვარი - გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში დაიბადა. ის წლების განმავლობაში - ჯერ გალის რაიონის ქალაქგაფორმების უფროსი, შემდეგ თბილისის ფუნიკულიორის მთავარი მხატვარი, ბოლოს კი რუსთავის ქალაქგაფორმების ხელმძღვანელი იყო. ალექსანდრე თოდუა პარალელურად ფერწერაშიც მუშაობდა და გამოფენებშიც აქტიურად მონაწილეობდა. მისი ნამუშევრები არაერთ კონკურსზე გამოურჩევიათ, მათ შორის მიღებული აქვს „მ. თოიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კონკურსის გრანპრი" (თბილისი, 1968), პლაკატისათვის - „მამული, ენა, სარწმუნოება" - სპეციალური პრიზი, ხოლო მისმა ფერწერულმა ნამუშევარმა - „გალაკტიონი" ჭყვიშში გამართულ გალაკტიონის სახელობის ფესტივალზე გაიმარჯვა და მხატვარს ფულადი ჯილდო და პოეტის ოცდახუთტომეული მოუპოვა.

ალექსანდრე თოდუამ ვ. არქანიას არტგალერეაში წარმოადგინა თავისი ბოლოდროინდელი ფერწერული ნამუშევრები, რომელთა მიმართ გულგრილი ვერ დარჩები, რადგან მათში მისი განვლილი ცხოვრება თუ „კოლხეთის დაქუცმაცების" (როგორც თავად უწოდებს) ისტორია ალეგორიის ენით არის გადმოცემული. ის საერთოდაც თავის შემოქმედებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნამუშევარს - „დაქუცმაცებული კოლხეთი", რომლის ჩარჩოც სიმბოლურად დანაწევრებულია...

ალექსანდრე თოდუას ნამუშევრები არაერთ ქვეყანაშია დაცული, მათ შორის გერმანიასა და ფინეთში, ლონდონსა და შვედეთში. თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების მნიშველოვან მოვლენებზე გვესაუბრება მხატვარი ალექსანდრე თოდუა.

### ბავშვობა

ალექსანდრე თოდუა გალის რაიონში, სოფელ ჭუბურხინჯში დაიბადა და მთელი ბავშვობა იქ გაატარა. კარგად ახსოვს პატარა ქალაქი გალი და №2 საშუალო სკოლა, სადაც სწავლობდა. ბედი მხატვრობაში პირველად სწორედ აქ მოსინჯა. ჯერ კიდევ მეექვსე კლასელი იყო, როცა სადღესასწაულო ღონისძიებებისთვის ტრანსპარანტებსა და პლაკატებს ამზადებდა და დამკვეთები სახლში აკითხავდნენ. შესრულებული სამუშაოების საზღაურად გასამრჯელოსაც იღებდა და მრავალშვილიან დურუ და ანგელინა თოდუების ოჯახს ფინანსურად მხარში ედგა. მის ნიჭიერებას ყველა აღიარებდა და პედაგოგები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ.

პირველად სადღესასწაულო ღონისძიებისთვის ტრანსპარანტის დამზადება რომ შემიკვეთეს, მე-6 კლასში ვიყავი. მაშინდელი რაიკომის მდივნებიც კი ჩემთან სახლში მოდიოდნენ და მეც მათ დასანახად ეზოში ვხატავდი. მაშინ ხომ არ არსებობდა ბილბორდებისა და პლაკატების ელექტრონული ბეჭდვა და ყველაფერი ბუნებრივად, ხელით მზადდებოდა. შესრულებული სამუშაოსთვის საზღაურსაც ვიღებდი, რაც ჩემთვის დიდი სტიმული იყო. ამასთანავე მრავალშვილიანი ოჯახიდან ვიყავი და ამით მქონდა შესაძლებლობა, მშობლებს დავხმარებოდი.

### მხატვრობის გზაზე...

სკოლის დამთავრების შემდეგ, ალექსანდრე თოდუამ სწავლა ქ. თბილისში, თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში გააგრძელა და 1962 წელს დაამთავრა. შემდეგ ჩააბარა მოსკოვში, დიმიტრი გრეკოვის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში, სადაც მხატვრებს სამხედრო სამსახურისთვის ამზადებდნენ. სწორედ იქ დაუახლოვდა იმ პერიოდისთვის ცნობილ მხატვრებს: ვალერიან ბორისოვს, საშა სალნივს და სხვ. კედლის მონუმენტის მხატვრობასაც სწორედ იქ დაეუფლა. მალე მას დაეკისრა ხელმძღვანელობა ჯგუფისა, რომელსაც „ბორისოვის ესკიზის" მიხედვით პანორამის - „კულიკოვის ბრძოლის სიუჟეტი" უნდა შეექმნა. მანვე შეასრულა პეტრე ბაგრატიონის მიერ ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლის ჩანახატი.

ალექსანდრე თოდუა 1967 წელს დაბრუნდა საქართველოში, მშობლიურ გალში, სადაც მხატვართა ჯგუფს სათავეში ჩაუდგა და რაიონის გაფორმებით სამუშაოებს ასრულებდა.

მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ მინდოდა, რომ ქართული სამხატვრო სკოლა გამევლო. ამიტომაც გალიდან თბილისში ჩამოვედი, მაგრამ იმ მოტივით, რომ ერთი ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ჩემი საბუთები არ მიიღეს. თუმცა აქვე არსებობდა ასპირანტურის ტოლფასი სტუდია, სადაც 2 წელი ვისწავლე. 1969 წელს თბილისის სამხატვრო აკადემიიდან 2 წლის ვადით ფუნიკულიორზე მთავარ მხატვრად გამამწესეს, 1973 წელს კი გადამიყვანეს ქ. რუსთავის ქალაქგაფორმების უფროსად. ამ თანამდებობაზე 15 წელიწადი დავყოვნე, საცხოვრებლად კი რუსთავში დავრჩი.

### ალეგორია

წლების განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები, როგორც მხატვარი ამბობს, მთელი მისი ცხოვრებაა. მისი თქმით, განწყობათა დიდი ნაწილი იმ 17 ნამუშევარს გაატანა, რომლებიც ომის დროს გალში, ახალაშენებული სახლის დაწვისას განადგურდა; გული წყდება იმ 22 ნახატზეც, რომლებიც მისი სახელოსნოს გაქურდვისას დაიკარგა; ასევე, დღემდე არ ასვენებს ბედი იმ 25 ნახატისა, რომლებიც რუსეთში „კომერციული მიზნით" გაიტანეს და უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ალექსანდრე თოდუას ფერწერაში სათქმელი ალეგორიის ენით არის გადმოცემული და გამოფენაზე „ორი შვიდიანი" წარმოდგენილი ნამუშევრებიც მეტაფორული ხასიათისა იყო.

6 წლის ვიყავი, როცა ფუტკარი ვარდზე დავსვი და ფერადი ფანქრით დავხატე. ეს იმდენად კარგად გამომივიდა, რომ მეზობლებმა აიტაცეს, ძალიან მოეწონათ. ერთ-ერთმა მეზობელმა (გვარად გრიგოლია იყო) მთელი სამეზობლო დაიარა და ყველას ეუბნებოდა: „ნახეთ, შურიკამ რა დახატაო..." გალში შურიკას მეძახდნენ. მერე გავთამამდი, ჩემი და და ბიძაშვილი სკოლის მოწაფეები იყვნენ და მათი სახელმძღვანელოებიდან რაღაცებს ვიხატავდი. შემდეგ პორტრეტების ხატვა ვცადე. ჩემი ნახატების უმრავლესობა წარმოსახვაზეა აგებული, თითქმის ყველგან ირეალური სამყაროა გადმოცემული, მაგრამ ნატურიდანაც ვხატავ. სწავლის დროს, ყოველთვის ნატურიდან ვხატავდით. მაგალითად, ჩემი ცოლის პორტრეტი ნატურიდან არის დახატული, შვილიშვილისა - ფოტოდან, თუმცა უმრავლესობა წარმოსახვითაა შექმნილი. მოკლედ, რომ ვთქვა პორტრეტებზე გავიწაფე. როცა კინომოყვარულთა წრეში შევედი, მოყვარულის დონის სტაციონარული აპარატი მქონდა, რამდენიმე ფირი გახმოვანებულიც კი მაქვს, წარმოების გრაფიკას სწორედ იქიდან მოვყევი.

### გამოფენა „ორი შვიდიანი"

გამოფენა „ორი შვიდიანი" მხატვარმა სიმბოლურად საკუთარ 77 წლის იუბილეს მიუძღვნა და აქ წარმოდგენილი ფერწერული ნამუშევრები ინდივიდუალურობით, მაღალი მხატვრული ოსტატობით, ორიგინალური შესრულების მანერითა და დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა. ხელოვანი უპირატესობას საკუთარ მეხსიერებაში დაგროვილ შთაბეჭდილებებს, ემოციებს ანიჭებს, რომლებსაც მშობლიური კერის მონატრების სევდა გასდევს. ალექსანდრე თოდუას შემოქმედებას ახასიათებს სერიულობა და კოლორისტული მრავალფეროვნება, რაც როგორც დამთვალიერებლების, ისე კოლექციონერებისა და სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენების მნიშვნელოვან ყურადღებას იქცევს.

გამოფენა „ორი შვიდიანის" მთავარი სათქმელი აფხაზეთისადმი მხატვრის გაუნელებელი ტკივილია. ნახატზე - „უღმერთოთა ქმედებანი" აღბეჭდილია, თუ როგორ „ერეკება" ხუთი კაცი მთელ სოფელს. გამოფენაზე წარმოდგენილ ერთ-ერთ სურათს - „სოფელი ეთნოწმენდის შემდეგ" - თუ დააკვირდებით, აქ გზები არ ჩანს, მათი ნაკვალევიც კი დაკარგულია, ბუნდოვანია ხედიც, სახლები კი მტოვებული და გარინდული, რაც მხატვრის სულიერ სამყაროსა და მშობლიური აფხაზეთისადმი მის დამოკიდებულებას გადმოსცემს.

რამდენიმე წლის წინათ რუსთავში პერსონალური გამოფენა მოვაწყვე. ამ დროისათვის რუსეთიდან ლიტერატორები ჩამოვიდნენ და გამოფენაზე ისინიც მივიწვიე. პირდაპირ ამ ნანუშევართან მივიყვანე და ვუთხარი, ეს გალის რაიონის ერთ-ერთი სოფელია და ხომ ხედავთ, რუსეთის გამო ის როგორი დაცარიელებულია-მეთქი. ხმა არ ამოუღიათ...

„მე და ჩემი ვაუჩერი" - ედუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდის ნამუშევარია, როდესაც ხალხს ვაუჩერები დაურიგეს. მერე თვითონ პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ შეგიძლიათ გაყიდოთო. შედეგად, საკუთარ ვაუჩერს ყველა ჰყიდდა და მისი ფასი 8 ლარამდე დაეცა. ერთხელაც მანქანით მივდიოდი, ქუჩაში მოხუცი კაცი იდგა და ხელში დიდი მამალი ეჭირა, მივედი და ვკითხე, ხომ არ ჰყიდით მამალს-მეთქი, მან კი დაუფიქრებლად მიპასუხა: - არა შვილო, ეს ჩემი ვაუჩერიაო.

### ეროვნულ მოძრაობაში

ალექსანდრე თოდუა მხატვრობას ეროვნულ მოძრაობაში მონაწილეობასაც უთავსებდა. მან რამდენიმე წლის წინათ კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების რუსთავის ფილიალი დაარსა და მასში 400-ზე მეტი წევრი გააერთიანა.

მან ასევე ახლო მეგობრებთან ერთად დააფუძნა გაზეთი „კოლხური კოშკი", რომლის გამოცემასაც თვითონ ხელმძღვანელობდა. მხედრიონის სისასტიკის პერიოდში, საკმაოდ დიდი რისკის ფასად, იგი გაზეთის ფურცლებზე ხშირად აქვეყნებდა სტატიებს, სადაც იმ დროინდელ უზურპატორ ხელისუფლებას აკრიტიკებდა და მათ კარიკატურებსაც აქვეყნებდა. ამ გაზეთმა გააერთიანა მწერლებისა და პოეტების ერთი ჯგუფი, მათ შორის: მუხრან მაჭავარიანი, ელიზბარ ჯაველიძე, სოსო სიგუა და სხვ.

ალექსანდრე თოდუას გაზეთის რედაქცია სახლში ჰქონდა და ცხოვრება შიშის ქვეშ უწევდა. მხატვარი საფრთხის ქვეშ ბევრჯერ ჩავარდნილა, მას ჰუჩისტთა მსახურები ემუქრებოდნენ და იზოლატორშიც ხშირად ხვდებოდა. იგი ზუგდიდში ეროვნული მთავრობის მომხრეთა ფორმირებებს სურსათითა და სხვა საჭირო ინვენტარითაც ხშირად ეხმარებოდა.

### შთამომავლობა

ალექსანდრე თოდუას ამჟამად ქ. რუსთავში სამხატვრო სახელოსნო აქვს და მოზარდებს ხატვას ასწავლის. აღსანიშნავია ისიც, რომ პერიოდულად მათი ნახატების გამოფენებს აწყობს, სადაც ახალბედა ხელოვანებს საკუთარი ნამუშევრების გამოფენის შესაძლებლობას აძლევს.

მხატვრობის ნიჭი დაჰყვა მის შვილს, რამაზსაც, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. 2014 წელს მხატვარმა ქ. რუსთავის თეატრში გამართა გამოფენა, რომელიც რამაზის ხსოვნას მიუძღვნა. გარდა ამისა, ხელოვნების გზას გაჰყვა რამაზის შვილი გიორგი თოდუა. ის მარიინის თეატრის აკადემიის სოლისტია (ქ. სანკტ-პეტერბურგი).

ჩემი შვილიშვილი, გიორგი თოდუა, ორიოდე წლის წინათ გალში ჩავიდა და კულტურის სახლში კონცერტი გამართა. ამ დროს აფხაზეთის ტელევიზიამ მისგან აიღო ინტერვიუ, რომელშიც გიორგიმ განაცხადა, რომ თვითგამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკას არ ცნობს. ამ ფაქტს დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა, რის გამოც თოდუებს საერთოდ აგვიკრძალეს ენგურგაღმა გადასვლა. ამ ამბის შემდეგ, სამწუხაროდ, და დამეღუპა და მის დაკრძალვაზე დასასწრებად გალში არ შემიშვეს. მხოლოდ თვეების შემდეგ, დიდი წვალებით ე. წ. მოწვევა გამიკეთეს და წლისთავზეღა მოვახერხე ჩასვლა. მიუხედავად ამისა, მჯერა, მოვა დრო და მე და გიორგი, ჩვენ ყველანი ერთად, აუცილებლად დავბრუნდებით იქ!

მადონა დვალი სოხუმში დაიბადა და გაიზარდა. დევნილობის პერიოდში ის თავის ოჯახთან ერთად ქ. რუსთავში დამკვიდრდა. მისი ნამდვილი გვარია დარცმელია, მაგრამ პოეტურ ფსევდონიმად დედის გვარი - დვალი შეარჩია. “მადონა დვალი ზღვის სანაპიროზე ნაპოვნ გამქვირვალე კენქს მაგონებს, ფერადოვანსა და გამორჩეულს... მისი პოეზია უცაბედია, ლაღი და უნებლიე სიცილ-ტირილივით გადამდები”, - წერს მწერალი მზია ხეთაგური მადონა დვალის პოეტური კრებულის -“ცრემლების ფერწერა” წინასიტყვაობაში. იგივე სულისკვეთების გაგრძელებაა მადონა დვალის ახალი სონეტებიც...

## მადონა დვალი

### სონეტი 1

ვიდრე იმედსაც გაუხდია თეთრი სტიქარი,
ვიდრე მზის ქოშით ალიონი მოდის,დილაზე,
მე ლოცვასავით ისევ ლექსის წერას ვიჩქარი,
რომ სტრიქონს მაინც შევახიზნო სულის სინაზე.

აქ მამრებს ჯერ ვერც შეუცვნიათ ევას თამაში,
ალბათ შენც ვეღარ ამოიცნობ ქალის ხასიათს,
მერიდე, ვიდრე ჩავტეულვარ ისეთ კაბაში,
რომლის შლეიფიც ადამისთვის ბოლო ხავსია.

ჯერ იქნებ, არც კი უცეკვია შენთვის იზიდას,
გაგათამამეს, გახალისეს იქნებ, ხასებმა,
ის პლანეტა ვარ, რომ ატყვევებს (ჯერ მიიზიდავს),
ამ კალმით, შენი ბედის რუკა დაიხაზება!

მრავალ მწვერვალზე გიმტვრევია, თურმე, ყინული,
ბოლოს დაეცი, ჩემს მწვერვალთან ფრთაშეყინული.

### სონეტი 3

ნუ მიწყენ, უკვე თუ მოგმართავ მხოლოდ სახელით,
ასე უხმობენ ან მეფეს და ანდა მსახურებს,
მე დიდსულოვნად შეგეგებე თვალთა გახელით,
მაგრამ მათ სითბოს, თურმე,არვინ არ იმსახურებს.

რარიგად მსურდა, შენს თვალებში წრფელად მემზირა,
მთელი ცხოვრება ვიგერიებ ათას „ლოველასს!“
მეგონე მეფე, რამ გაქცია ბოლოს ვეზირად?
ვაი თუ, ლექსიც დაემსგავსოს, ბოლოს ნოველას.

უნდა წავიდე, ავუჩქარო იქნებ ნაბიჯებს,
ჩემი მუზების საუფლოშიც ვიდრე მოყინავს,
მე მამრის ტრფობა ძვირად რატომ უნდა დამიჯდეს?
მე, ლექსის კერპთან, პოეზიის ღმერთთან მორკინალს!

შენ უფაქიზეს ღრუბლის ნავში უნდა ჩაგესვი,
მაგრამ აღმოჩნდი, თვით „გოჩაზე უგოჩავესი!“

### სონეტი 4

ასეთ ქაოსში, სიბრიყვის და კადნიერების,
ასე კარდაკარ რომ დამეძებ, ნეტა ვინ გრჯიდა?
რომ მიმტვრევ საკანს, ფატალური ბედნიერების,
არა ხარ მხსნელი პოეზიით გვემამისჯილთა.

ამ გრადაციის კარიბჭესთან ნუ ილურსები,
რადგან არც შენი გაკვალული გზებით არ წავალ,
მე რაც დავწერე, ვარსკვლავების ძველი ლურსმნებით,
ამ დედამიწას არ დატოვებს გაუკაწრავად.

ამდენი გვემა, გამართლდება მხოლოდ იმ ერთით,
სხვებიც რომ შენებრ იპოვიან სულის ამ მდელოს
და სიყვარულის გადარჩენის რწმენით, იმედით,
შეაფარებენ თავს ჩემს სტრიქონს, როგორც ანგელოზს.

ნუ გაირჯები, შენს წყალობას ნუ დამპირდები,
მე მიპოვიან პოეზიის ვუნდერკინდები!

### სონეტი 5

უკვე აღარ ვღვრი, რახანია, ცრემლის წვიმასაც,
ტკბობამ ხანმოკლემ, მომიტანა დარდი ხანგრძლივი,
ზეიმის მერე ივიწყებენ თავად წმინდანთაც,
რომ გამოხრიან რაც მიართვეს, ვითომ განძივით.

ბევრი მოსული სალამურით, დოლით გავუშვი,
ვნანობ, რომ აღარ მოვერიდე შარის ატეხვას,
რადგან დავრწმუნდი, არ ილევა ბრიყვი და მრუში,
პატარა ქვით რომ ცდილობს დიდი თავის გატეხვას.

რაღა დროსია, შენც რომ ვითომ ვნება გალომებს
და გინდა, ვიყო ვითომ შენი იაგუარი...
ქედს ვუხრი მე იმ უჭკვიანეს ქალს, ლუ სალომეს,
თავად ნიცშეს და თვით ფროიდს რომ უთხრა უარი!

უკვე არავის დავრთავ ნებას სულში თარეშის,
რადგან სამოთხეც არ არსებობს გველის გარეშე.

*2018 წელი*

---

თეკლა ლაზი სოხუმში დაიბადა. ის სამი წლის იყო, როცა ოჯახთან ერთად იქიდან წამოვიდა. თეკლა პროფესიით ჟურანლისტი და ლიტერატურათმცოდნეა. სხვადასხვა დროს თანამშრომლობდა პალიტრამედიასთან - ჟურნალ ,,...და ქალში” და პორტალ mara.ge-ზე. მისი ლექსები, წერილები და ნარკვევები იბეჭდება ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში. ამჟამად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.
მიუხედავად იმისა, რომ თეკლას სოხუმი არ ახსოვს, მაინც საოცარი ემოციითა და ნოსტალგიითაც კი მიმართავს უნახავად მონატრებულ მშობლიურ ქალაქს:
“გუმორძგუა! - ახლა, წესით, შენს აქაფებულ ფარჩასთან უნდა ვიჯდე! (ისევ სახლზე ვფიქრობ)...
...აქამდე რატომ არ მოგესალმე?.. ათწლეულები ვუყურე გაზაფხულს, როგორ აცლიდა ნაძვის მტვერს კენწეროებს და ქარს დასავლეთით მიჰქონდა. ...და როცა ქადრები იშლიდნენ ქოჩრებს, ცასმიპყრობილი თვალებით დავდევდით ეზოს ბავშვები ფოთლებს, ვამბობდით — ,,ვისაც დაეცემა, იმას აუსრულებს ნატვრას“... საერთო საცხოვრებლის ეზოში ვანთებდით, დათქმულ თარიღზე, ცეცხლს — ,,სოხუმობაა” ... რიცხვი სულ გვავიწყდებოდა და ის ,,მცოცავ დღესასწაულად” ვაქციეთ” .
თეკლა სოხუმს ერთგულებას ჰპირდება, ისე ელაპარაკება, როგორც გვინდა, რომ ახალგაზრდები აფხაზეთს ელაპარაკებოდნენ:
“...მე ჯერ კიდევ ვცხოვრობ ზღვის აქაფებულ ნაპირთან, ოლეანდრების რიგებშორის... წლებს ნელა სცვივა ბებიებისა და ბაბუების იმედიანი სულები... ისევ ისმის პატარა გოგოს ღიღინი ჩემი ჟოლოს ბუჩქებიდან და ასე იქნება სულ!” ..
თეკლასთვის ჩვეული მოქნილი კალამი და საინტერესო ხედვა ჩანს მის საახალწლო ჩანახატშიც...



# ...რაც ახალ წელს მისტიურობისგან ძარცვავს

## თეკლა ლაზი

ახალი წელი სკოლის ახალი ცალხაზიანი რვეულივითაა, რომლის პირველ ფურცელზე ყოველთვის პედანტურად, ლამაზი კალიგრაფიით ვწერდი და ყოველ ჯერზე ვამბობდი, რომ სუფთად წერას დავიწყებდი, არ ვიჩქარებდი და ყველა ფურცელს პირველ გვერდს დავამსგავსებდი, მაგრამ... რვეული მაინც გაკრული ხელით ნაწერი იყო, ველზე გადასვლებით, გადახაზულებითა და კუთხეში მინაჯღაბნებით...

ახლა, როცა ნასუფრალ ქუჩას მივუყვები და ქალაქს ჯერაც ასაფეთქებლების სუნი ასდის, უფრო გულდასმით ვფიქრობ ამაზე და ჩემი მინერალური აზრების ყლუპები მაფხიზლებენ.

პირველ წინადადებასავით ეცემა პიონერი სხივი თოვლს და ძალიან არ მინდა, ისევ ავტომატურად იმეოროს გონებამ ის, რასაც ყოველ წელს ვპირდებით საკუთარ თავს - „აი, ამ წელს აუცილებლად...“ და ა. შ.

ყოველი წელი იწყება შემართებით და ფრაზებით, რომლებსაც სადღესასწაულო მორთულობასთან ერთად ვინახავთ საკუჭნაოში... და გრძელდება საშობაო შაბლონებით, „სურვილების ნაძვის ხეზე“ წლიდან წლამდე რომ არ ვკიდებთ. ყოველ ჯერზე ჩვენ ვიწყებთ ახლიდან და შამპანურის შუშხუნის ფონზე სასურველი ცხოვრების მოდელს ვახმიანებთ, მაგრამ ისევ არაფერს ვაკეთებთ „მაკეტის“ შესაცვლელად და ისევ ჩვენზე ძლიერია რუტინა და ისევ რვასაათიანი სამუშაო გრაფიკი ხდება მიზანი და არა - საშუალება... და 12 თვის თავზე ისევ საახალწლო სუფრასთან ვაკოწიწებთ იმ გაელვებებს, რომლითაც ვცდილობთ, თავი დავიმშვიდოთ. მერე ვიხსენებთ ლაფსუსებს, რომლებსაც აუცილებლად გამოვასწორებთ „მომავალ წელს", იმ წელიწადში, რომელიც სხვა განზომილებასა და ალტერნატიულ რეალობაში გვეგულება... სინამდვილეში ჩვენ ძალიან ბევრი შეგვეძლო მაშინ, როცა დროს უქმად ვხარჯავდით და მალე ვიღლებოდით... ან ვამბობდით - „მერე...“ და ისევ არ ვცდილობდით სწორედ ის გადაგველახა, რაზეც ყველაზე მეტად ვოცნებობდით ფეხს, დაწყებული სტომატოლოგის შიშით, დამთავრებული -ახალი სამსახურის დაწყებით..

ძაღლმა ურნიდან ნარჩენების პარკი ამოაძვრინა და ოლიმპიური ცეცხლივით მიარბენინებს...

ბრძოლა საჭმლის მოპოვებისთვის... ნეტავ, სკოლაში თოლია ჯონათანს თუ ასწავლიან?

თუმცა ყოველთვის ასე ხომ არაა, ზოგჯერ ვმღერით თამამად, ვცეკვავთ თავდავიწყებით და ვეძებთ ახალ მუსიკას, უფრო ხშირად ვამბობთ „კის“, მაგრამ მაინც გვერევა - „მერე“ ...

როცა ვამბობთ, რომ ფული გადამწყვეტია, ჩვენ უბრალოდ პასუხისმგებლობას ვირიდებთ და ჩვენს უმოქმედობას ვამართლებთ...

ამინდის შეცვლის ნაცვლად შექმნილ ამინდზე ვართ დამოკიდებულები და მოცემულობის ტყვეებად ვიქცევით... მეგობრებსაც კი ასე ვირჩევდით... მეტწილად მათ ვუახლოვდებოდით, ვინც გარშემო გვეხვია. უნივერსიტეტში, სამსახურში თუ უბანში ჩვენ არსებული საზოგადოებიდან სამეგობროდ საშუალო არითმეტიკულ პერსონას ვირჩევდით და სამეგობრო წრეც ჩვენი კი არა, სწორედ გარემოსგან არჩეული ადამიანები არიან. ამიტომაა, რომ ი‍შვიათად ვპოულობთ სულიერ მეგობრებს... ხშირად მიფიქრია სოციალური ქსელის კიდევ ერთ დადებით მხარეზე -ვალდებულების, სუბორდინაციისა და „ხათრისგან“ თავისუფალ სივრცეში ვუმეგობრდებით მათ, ვინც მართლა ჩვენია და სტატუსისგან თავისუფლად ვაკეთებთ არჩევანს. გარემოს გავლენა ნულია... სივრცე - უსასრულო...

ვცდილობთ, ახალი წლის ათვლა ქრისტეს შობიდან დავიწყოთ და თარიღებშორის დაბნეულნი მივუყვებით საყოველთაო მარათონს...

ახალი წელი მოდის და ჩემი სულისკვეთება არ იცვლება - ისევ მაწუხებს კაუჭზე ჩამოცმული გოჭების ძვირად დაფასებული თავები და გადაღლილი დიასახლისების ისტერიკული ქოთქოთი, სადღესასწაულო შეჯიბრი და ამ დღის მიზნად ქცევა... გამოფატრული საფულეები და განცდა, თითქოს მოსაწყენი წლის ერთჯერადი კომპენსაციით ისევ ვიბრძავებთ თვალს...

ვიტოვებ იმედს, რომ წელს უფრო მეტი საქველმოქმედო საჩუქარი შეგროვდება და თანხით, რომელსაც პრესტიჟისთვის ვიხდით უამრავ უსარგებლო ბრჭყვიალობებში, გამოწვდილ ხელებს გავათბობთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება დღესასწაული ჯადოსნური და ეს ყოველმა ჩვენგანმა ვიცით. მთავარს მაშინ გავიაზრებთ, როცა ძვირადღირებული სათამაშოების დახლს შევაქცევთ ზურგს. რა თქმა უნდა, ამით კაცობრიობას ვერ ვიხსნით, მაგრამ სამყაროში ჩვენი არსებობის იდეა გახმიანდება.

სწორედ ეს ანათებს ქუჩებს, აცოცხლებს ქალაქს. გაუკუღმართებული გაგება, თითქოს უნდა ვიყიდოთ უამრავი რამ მხოლოდ ჩვენთვის და ისევ ჩავიკეტოთ ამ ვიწრო წრეში, ეს აქციები, ფასდაკლებები და რეკლამები მხოლოდ თვალის ასახვევადაა - რათა ნამდვილ არსს გავცდეთ. ახალი წლის ჭეშმარიტი მნიშვნელობა სიკეთის კეთებაშია. არც კლუბებში, არც მაგიდის ახალ გადასაფარებელში. ეს ყველაფერი მხოლოდ დამხმარე საშუალებაა და არა მიზანი.

ახლა ერთ ფინჯან ცხელ შოკოლადთან ვიკრებ ძალისხმევას, რომ „ჩავინიშნო“ ყველა ის „მერე“, რომელიც მთელი წლის განმავლობაში შემეძლო გამეკეთებინა, მაგრამ ვთქვი... სულში პატარა ლამპარივით ენთება პირობა, რომ „აწი აღარ“ ... ...და სწორედ ამის აღსანიშნავად მოდის ახალი წელიც...

...ყოველი ახალი წელიწადი, რომელიც გარდა იმ საზოგადო სიხარულისა, რაც ამ დღესასწაულს ახლავს, არის ნოსტალგია... ...ერთი შობისა, ბავშვობაში რომ დარჩა...

იმ ერთი ახალი წლის, აუცილებლად ბავშვობიდან რომაა. დროში, როცა სუფთა გონება მარტო ყოველივე საუკეთესოს იმახსოვრებს და ციმციმა კადრებს ინახავს.

... როცა მარტო მაშხალების რაოდენობაზე ვღელავდით. ბებიას საჩუქრები, გემრიელი სურნელი, მომღერალი ღია ბარათები, ბაბუას თბილი ხელები, ნიგვზიანი რულეტი... ...ცოცხალი, გახარებული სახეები, პრობლემებიდან - რუტინული საზრუნავიდან განდგომა, ჟრიამული...

ვიცი, ყოველი ჩვენგანი გონებაში ავჯამებს დავლას და გვინდა, ახალი წლის მუხტი ისეთივე იყოს, „როგორც ბავშვობაში“ ... და ეს ძალიან ადვილია, თუ თვითონ ვიქნებით ბავშვურები და ისევ გავუყოთ მაშხალებს ერთმანეთს.

ასე წლების მატებასთან ერთად აღარ მოაკლდებათ ადამიანებს სიხარული. პენოპლასტის სათამაშოებითა და „გირლიანდებით“ აღარ ვეცდებით შესაბამისი განწყობის ილუზია შევიქმნათ. დღესასწაული არ დაემსგავსება იმიტაციას, იმ ერთი ჯადოსნური შობისა, რომელშიც ვბრუნდებით ყოველთვის, როცა ნაძვის ხე ციმციმებს და მუსიკალური ბარათის წრიპინი გვესმის...

# პრემიერა სოხუმის თეატრში

კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა 135-ე სეზონი პრემიერით გახსნა - ,,ტროა, დაკარგული სამოთხე" (ევრიპიდესა და ჟან-პოლ სარტრის ,,ტროელი ქალების" მიხედვით). პროექტი განხორციელდა თურქეთის თანამშრომლობისა და კოორდინაციის სააგენტოს, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით. ტექსტის ავტორი და სპექტაკლის დამდგმელი მოწვეული თურქი რეჟისორი - გამზე თანრივერმიშია.

სპექტაკლი დოკუმენტურია და მასში აფხაზეთში 90-იან წლებში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებში მონაწილე ქალთა რეალური ამბებია მოთხრობილი, რომელსაც თან ახლავს ომის შემდგომ პერიოდში გადაღებული ფოტოებიც. ომმა მათი ცხოვრება დაანგრია, ყველაფერი დაკარგეს: ქმარი, შვილები, სახლ-კარი. ახლა ისინი დევნილობის რთული რეალობის წინაშე დგანან და არ იციან რას უმზადებს მათ ბედისწერა. ნანგრევებად ქცეული ქალაქისა და დამსხვრეული ოცნებების ფონზე, სცენაზე მდგარი ქალები ინარჩუნებენ სიცოცხლის სიყვარულს და რაც მთავარია, იმედს, იმედს საკუთარ სახლებში დაბრუნებისა.

პრემიერას იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი დავით ფაცაცია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ჯემალ გამახარია, თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ფატმა სერენ იაზგანი, თურქეთის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების სააგენტოს (TIKA) საქართელოს ოფისის კოორდინატორი ნეჯლა დერმიდაგი, აფხაზეთის მთავრობის წევრები, უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის საელჩოს თანმშრომლები, ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები და დევნილი საზოგადოება დაესწრო.

# დევნილი მოზარდები სპექტაკლ - ,,სიმბას თავგადასავალს" დაესწრნენ

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსა და თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული თოჯინების თეატრის თანამშრომლობის შედეგად, აფხაზეთიდან დევნილი, რამდენიმე კომპაქტურ ჩასახლებაში მცხოვრები მოზარდები, სპექტაკლს - ,,სიმბას თავგადასავალი" დაესწრნენ.

პროექტს კოორდინაციას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის მთავარი მრჩეველი მალხაზ კორძახია უწევდა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო თანადგომისათვის მადლობას უხდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს ნიკოლოზ საბაშვილს, დირექტორს – კონსტანტინე ქარქაშაძესა და იურიდიული სამსახურის უფროსს გიორგი ბოლქვაძეს.

## სპორტი

# სამინისტრომ 2019 წელს სპორტის მიმართულებით გაწეული საქმიანობა შეაჯამა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, ვალერი არქანიას სახელობის არტ გალერეაში აფხაზეთის გამოჩენილი სპორტსმენების ფოტოგამოფენა და წიგნის - აფხაზეთის სპორტი" პრეზენტაცია გამართა. თავყრილობა გახსნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა როლანდ ნიჟარაძემ. დამსწრეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ 2019 წელს გაწეული საქმიანობის ვრცელი ანგარიში წარუდგინა ამავე სამსახურის უფროსმა ვიტალი ბენდელიანმა. სამინისტროს მიერ გამოცემული წიგნის - ,,აფხაზეთის სპორტი" შედგენის თავისებურებებზე ისაუბრა მისმა ავტორმა ლელა მიქელაძემ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა რუსლან აბაშიძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ჯემალ გამახარიამ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თამაზ ხუბუამ და სხვ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს სიგელებით დააჯილდოვეს აფხაზეთის ვეტერანი სპორტსმენები, სპორტის მუშაკები და წარმატებული სპორტსმენები: ბონდო კაკუბავა, გელა ინალიშვილი, არსენა მაისურაძე, ლევან კოპალიანი, ლევან გობეჯიშვილი, თენგიზ პაჭკორია, სოფია ქვაცაბაია, ანა აფრასიძე, მედეა შონია და მარიამ ბერანძე. მათ ასევე გადაეცათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მადლობისა და წარმატებულის სიგელები.

ფოტოგამოფენასა და წიგნის პრეზენტაციას ცნობილი სპორტსმენები და აფხაზეთის საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

# გურამ ვეკუა ევროპის ჩემპიონი გახდა

აფხაზეთის მე–15 საჯარო სკოლის მე–10 კლასის მოსწავლე გურამ ვეკუა ისრაელის ქალაქ ეილატში მიმდინარე ძალოსნობის ტურნირის ჭაბუკთა შორის (15 წლამდე) ევროპის ჩემპიონი გახდა. მან 118, 122 და 126 კილოგრამი დაძლია და გამარჯვება მოიპოვა.

ახალგაზრდა ძალოსანმა მეორე მისვლაზე საქართველოს რეკორდი 2, ხოლო ევროპის სარეკორდო ზღვარი 1 კილოგრამით გაზარდა, მესამე მისვლაზე კი სპორტსმენმა ევროპის რეკორდი 5 კილოგრამით გააუმჯობესა.

გურამ ვეკუა აკვრაშიც საუკეთესო იყო. ძალოსანმა 144, 148 და 151 კილოგრამი დაძლია და აქაც ოქროს მედალი დაისაკუთრა. ძალოსანმა ყველა მისვლაზე ევროპის რეკორდი დაამყარა და ორჭიდის ჯამში მოგროვებული 277 კილოგრამით ოქროსმედალოსანი გახდა, რაც ასევე ევროპის რეკორდს უდრის.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო ულოცავს გურამს ამ დიდ გამარჯვებას და წარმატებას უსურვებს.

# კალათბურთის თექვსმეტწლამდელთა გუნდი ,,აფხაზეთი" საქართველოს ,,ბ" ლიგის გამარჯვებული გახდა

2019 წლის 19 ოქტომბერს ოლიმპიურ სასახლეში საკალათბურთო გუნდმა ,,აფხაზეთმა", რომლის მწვრთნელებიც არიან ალექსი და ლიკა ქაჯაიები, საქართველოს ,,ბ" ლიგის ფინალურ მატჩში გუნდი ,,ვინგსი" დაამარცხა (ანგარიშით 73:52) და ლიგის გამარჯვებული გახდა.

,,ბ" ლიგის გათამაშება თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის ორგანიზებითა და საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის მხარდაჭერით ჩატარდა. ,,ბ" ლიგის გათამაშება წლეულს 56 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალურ მატჩში მოთამაშე გუნდებს თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის გამგეობის წევრებმა შესაბამისი ხარისხის მედლები გადასცეს. გუნდ ,,აფხაზეთის" კაპიტანს საბა კალმახელიძეს ჩემპიონის თასი თბილისის კალათბურთის განვითარების კავშირის პრეზიდენტმა ვლადიმერ ძიძიგურმა გადასცა.

# აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრომ, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, 2019 წლის 8 ნოემბერს აფხაზეთის ომში დაღუპულ მეომართა ხსოვნის ტურნირი ქართულ ჭიდაობაში გამართა.

ტურნირი ჩატარდა ღია პირველობის სახით და მასში საქართველოს სხვადასხვა კუთხის 2005-2006 წ.წ. დაბადებული სპორტსმენები მონაწილეობდნენ. ტურნირი ძიუდოს სპორტულ კლუბ ,,მართვეში" გაიმართა.

სხვადასხვა წონით კატეგორიებში გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომლებიც აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის მთავარმა მრჩეველმა მალხაზ კორძახიამ და ამავე სამინისტროს, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ვიტალი ბენდელიანმა შესაბამისი სიგელებით, მედლებითა და თასებით დააჯილდოვეს.

# ნიკოლოზ თაბუკაშვილის პრემიის 2019 წლის ლაურეატი გამოვლინდა

*საკუთარი ინფორმაცია*

საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის 2019 წლის გამარჯვებულის დაჯილდოება გაიმართა.

ფარული კენჭისყრის საფუძველზე სპეციალური კომისიის გადაწყვეტილებით საუკეთესო ნამუშევრისთვის 2019 წლის პრემია მხატვარ ჯემალ ბასარიას მიენიჭა. გამარჯვებულს ჯილდო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ რუსლან აბაშიძემ გადასცა. სერტიფიკატები ასევე გადაეცათ პროექტში მონაწილე ხელოვანებს.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი როლანდ ნიჟარაძე, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი დავით ფაცაცია, კულტურის და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიება აფხაზეთის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის, საქართველოს მხატვართა კავშირის და აფხაზეთის მხატვართა კავშირის მხარდაჭერით და ორგანიზებით გაიმართა.

ნიკოლოზ თაბუკაშვილის პრემია ორ წელიწადში ერთხელ ერთ გამარჯვებულზე - 2000 ლარის ოდენობით გაიცემა. პრემია სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში შექმნილ ნამუშევარს ენიჭება. საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაშრომები ძირითადად აფხაზეთის თემატიკას და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს ეძღვნება.

# სახელობო სწავლების ხიბლი

მაია შონია

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრომ ვალერი არქანიას სახელობის არტ გალერეაში აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენა მოაწყო. ნამუშევრები შესრულდა ქვეპროგრამის - ,,კარიერის დაგეგმვა, პროფესიული ორიენტაცია და სახელობო სწავლება სკოლებში" ფარგლებში. ამ ქვეპროგრამას კი აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახური ,,განათლების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში უკვე წლებია ახორციელებს.**

სახელობო სწავლება დანერგილია აფხაზეთის №1, №2, №3, №5, №7, №10, №11 და №12 საჯარო სკოლებში. მოსწავლეები ამ სწავლების დროს სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან, კერძოდ: ჭრა-კერვას, ქარგვას, მინაზე ვიტრაჟულ ხატვას, აკრილის საღებავის ტილოზე დასხმით აბსტრაქციული ნახატების შექმნას, პოლიმერული თიხის მაღალი ტექნოლიგიებით დამუშავებას, თიხაზე მუშაობას. ამასათანავე მოსწავლეები ქართული ხალხური რეწვის ტრადიციულ სახეებს - კერძოდ, ქართული ხალხური ხალიჩის შექმნის ტექნოლოგიას სწავლობენ. სწორედ აქედან გამომდინარე, აფხაზეთის №1, №2, №3, №5, №7, №10, №11 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გამოფენაზე თითქმის ყველა სახეობის ნამუშევარი წარმოადგინეს და საბოლოოდ ძალიან შთამბეჭდავად წარმოაჩინეს ამ მიმართულებით გაწეული საქმიანობა. გამოფენას უძღვებოდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს განათლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი ნინო ლობჟანიძე.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ მანანა ქვაჩახიამ გამოფენის ბოლოს აღნიშნა: „ქვეპროგრამის მიზანია, სკოლებში არსებული სახელობო პროგრამების განვითარებასა და სასკოლო ინიციატივების წახალისებას შეუწყოს ხელი და მოსწავლეებს მომავალი პროფესიის გააზრებულად არჩევასა და კარიერის სწორად დაგეგმვაში დაეხმაროს". მისივე თქმით, „კითხვაზე, რომელიც დღეს აქ უნდა დასმულიყო, გაგრძელდეს თუ არა აფხაზეთის საჯარო სკოლებში სახელობო სწავლება, პასუხი გასცა თვით ამ გამოფენაზე წარმოდგენილმა შესანიშნავმა ნამუშევრებმა და მოსწავლეების პოზიციამ, რომ სახელობო სწავლებმა მათ სულიერად განვითარებას და ამა თუ იმ მიმართულებით დაოსტატებას უწყობს ხელს".

დასასრულ, აფხაზეთის საჯარო სკოლები, პროექტში მონაწილეობისათვის, საჩუქრებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

რედაქტორი
**ნატო კორსანტია**

ტექნიკური რედაქტორი
**ლიანა მარქარიანი**

მისამართი: ქ. თბილისის, დ. უზნაძის 68
ტელეფონი: 577 09 22 42

ნომერზე მუშაობდნენ:

**მაია შონია,**
**შალვა ბერიანიძე**